ახალი განათლება

21 - 27 დეკემბერი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№39 (793) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაზე მიხეილ ჩხენკელმა განათლების სისტემაში დაგეგმილ ცვლილებებზე ისაუბრა

⇨ დღეს უმთავრესი ამოცანა განათლების ხარისხის ამაღლება და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაა

✓ განხორციელდება უნივერსიტეტების არაგეგმიური შემოწმება და ავტორიზაციის სტანდარტების შეუსაბამობა, უმაღლესებისთვის, სტუდენტთა მიღების შეჩერების საბაბი გახდება.

✓ ამოქმედდება ევროპის საბჭოს უმაღლესი განათლების სტანდარტებთან თავსებადი მოდელი. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით კი, შემუშავდება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, გაცილებით ეფექტური მექანიზმი.

✓ დიდი ყურადღება დაეთმობა დისტანციური სწავლების დანერგვას, რაც გულისხმობს როგორც უცხოელი პროფესორების რესურსის გამოყენებას, ასევე შესაძლებლობას საზღვარგარეთ ქართველმა პროფესორებმაც წაიკითხონ ონლაინ ლექციები.

⇨ პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველა პირობა შეიქმნება და პროცესი ორიენტირებული იქნება არა მხოლოდ თეორიაზე, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე

✓ პროფესიული განვითარების მოტივაციის ამაღლების მიზნით, 2018 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზრდება წამყვანი და მენტორი მასწავლებლების დანამატები. მინიმუმამდე დავა ბიუროკრატიული პროცედურები, რათა მასწავლებლებმა დრო მთლიანად პროფესიულ განვითარებას დაუთმონ.

✓ უწყვეტ რეჟიმში, კომპლექსურად, განხორციელდება პედაგოგთა კვალიფიკაციის მონიტორინგი, დაიხვეწება შიდა და გარე შეფასების მექანიზმი.

⇨ ახლო მომავალში განვითარდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაიზრდება გეოგრაფიული დაფარვა

✓ ახალი საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე დაიწყება პროფესიული და ზოგადი განათლების სფეროთა ინტეგრირების პროცესი. საბაზო სწავლების დონეზე – პროფესიული უნარების განმავითარებელი აქტივობები, ხოლო საშუალო სკოლებში – სრულფასოვანი პროფესიული განათლება მოზარდებს დასაქმების სფეროსთან დაახლოებაში დაეხმარება.

✓ განვითარდება პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის კავშირები, დაინერგება წინმსწრები და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები.

✓ მოზარდებს, რომლებსაც არ აქვთ ზოგადი განათლების ატესტატი და სურთ პროფესიული განათლების მიღება, სპეციალური პროგრამების დანერგვის შემდეგ, შეეძლებათ სკოლის ატესტატის ეკვივალენტური სერტიფიკატის აღება.

⇨ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოფლის სკოლების გარდაქმნას საგანმანათლებლო ცენტრებად, რომლებიც გააერთიანებს საბავშვო ბაღს, სკოლას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ბიბლიოთეკას, სპორტულ და შემოქმედებით კლუბებს

✓ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფო ენის შესწავლას დაეთმობა. თუმცა, მოზარდებთან ერთად, საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა ზრდასრულ მოსახლეობასაც შეეძლება.

✓ სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა ენერგია განათლებაში, შემოქმედებით აქტივობასა და სპორტში დახარჯონ. ძალადობისა და აგრესიის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში სახელმწიფო და ოჯახი გვერდიგვერდ უნდა იდგნენ.

⇨ პროექტის „ევრიკა“ ფარგლებში უმაღლესი რანგის პროფესიონალები, მეცნიერები და მკვლევრები სკოლას დაუკავშირდებიან.

გვერდი 6

„ციფრული პოლიტიკა, პრაქტიკა და პროდუქცია უკეთ უნდა ესადაგებოდეს ბავშვების საჭიროებებს, ასახავდეს მათ პერსპექტივებსა და სათქმელს.

ციფრულ სამყაროში ბავშვების ხმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და კიდევ უფრო ხმამაღლა ისმის, ვიდრე ოდესმე. ეს ხომ ის სამყაროა, რომელიც არა მხოლოდ წილად ხვდა მათ, არამედ რომლის განვითარებაშიც ისინი თავადაც მონაწილეობენ.

საჭიროა, დავიცვათ ბავშვები ციფრული ტექნოლოგიების საშიში ზეგავლენისაგან და, ამავე დროს, ხელი შევუწყოთ მათ, მაქსიმალურად ისარგებლონ ამ ტექნოლოგიების სიკეთეებით. მხოლოდ ასე შევძლებთ, უკეთესობისკენ შევცვალოთ ვითარება“

ენტონი ლეიკი
გაეროს ბავშვთა ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

პროფესიული განვითარება

რა ცვლილებები იგეგმება სქემაში 2018 წელს

დიდი მოცულობის კასკადური ტრენინგები უკვე დავასრულეთ. ჩვენი სამომავლო გეგმები საჭიროებებზე მორგებული კონსულტაციების ჩატარებაა.

ეკატერინე შარაშენიძე

გვერდი 2

აქტუალური თემა

მხოლოდ სკოლის მანდატურის სამსახურის გაძლიერებით სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ

რა პრევენციული ზომები იქნება ეფექტური მოსწავლეების ძალადობისგან დასაცავად – გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას.

გვერდი 4

პროფესიული განვითარება

რა ცვლილებები იგეგმება სქემაში 2018 წელს

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რეალურად, ერთი წელია, რაც სრული დატვირთვით მუშაობს. სქემის ფარგლებში, გარდა იმისა, რომ განხორციელდა მასწავლებელთა საფეხურებრივი წინსვლა და სისტემაში გაჩნდა უფრო მეტი უფროსი და წამყვანი მასწავლებელი, უკვე 9 მენტორი პედაგოგიც გვყავს, რომელთა რაოდენობა სასწავლო წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება. ასევე, სკოლებში მასწავლებლის შეფასების სრულიად ახალი სისტემა ჩამოყალიბდა და სქემა მოქმედებს, როგორც პედაგოგთა პროფესიული განვითარების დამხმარე სისტემა.

მომავალი წლიდან, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასობრივი ტრენინგების რეჟიმიდან, კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების რეჟიმზე გადასვლას გეგმას, ეს ის ძირითადი ცვლილებაა, რასაც 2018 წლისთვის აანონსებს. თუმცა, სქემის მიმდინარეობისას გამოკვეთილ იმ ხარვეზის გამოსწორებასაც გეგმავს, რომელსაც მასწავლებელთა უმეტესობა ასახელებს, ეს დოკუმენტაციის ატვირთვას ეხება. დაანონსებული სიახლეებისა და ამ ხნის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შედეგებზე გვესაუბრება ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი ეკატერინე შარაშენიძე.

– მასობრივი ტრენინგების რეჟიმიდან ცენტრი კონსულტაციების რეჟიმზე გადადის. რამ განაპირობა ეს ცვლილება და რა შედეგი გამოიღო თქვენ მიერ განხორციელებულმა ტრენინგებმა? როგორ შეაფასებთ სქემის მუშაობას?

– მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა, როგორც იცით, ამოქმედდა 2015-2016 სასწავლო წლიდან და ეს მნიშვნელოვანი სიახლე იყო განათლების სისტემაში. მისი მიზანია, თითოეული მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და სრულიად ახალი შეფასების სისტემის ჩამოყალიბება. სქემის თანახმად, სკოლებში გაჩნდნენ სრულიად ახალი თვისებრივი ერთეულები: შეფასების ჯგუფის წევრები და ფასილიტატორები, რომლებიც ზრუნავენ თითოეული მასწავლებლის პროფესიულ შეფასებასა და განვითარებაზე. ფაქტობრივად, სქემას დამხმარე ფუნქცია აქვს – როგორ დაეხმაროს მასწავლებელს, რომ განვითარდეს პროფესიულად და ასე მიაღწიოს სხვადასხვა ეტაპებს. იმისათვის, რომ სქემა რაც შეიძლება მორგებული ყოფილიყო მასწავლებლის განვითარებაზე, პირველი სასწავლო წელი – 2015-2016 – საპილოტე წლად გამოცხადდა და ამისთვის საკმაოდ ბევრი რესურსი შეიქმნა, ხელმისაწვდომი იყო მასწავლებლებისთვის ელექტრონული და ბეჭდური რესურსები, მაგ. გზამკვლევები, რომლებიც ორ ნაწილად დაიბეჭდა და ყველა სკოლისთვის ხელმისაწვდომი იყო. გზამკვლევები ითარგმნა სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე და მიეწოდათ არაქართულენოვან მასწავლებლებს.

სამწუხაროდ, მასწავლებლების და სკოლების უმრავლესობა 2015-2016 წლებში მოლოდინის რეჟიმში იყვნენ და ძვირფასი დრო დაკარგეს. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, ერთი წელია, რაც სქემა მთელი დატვირთვით მუშაობს და ჩვენც სწორედ ამ ერთი წლის შეფასებებიდან ამოვდივართ. პირველ წელს ჩვენც ბევრი კითხვა გვქონდა და მასწავლებლებსაც ბევრი შეკითხვა დაუგროვდათ – რა შედეგებზე გავიდოდით, რა იყო პრობლემა (რა თქმა უნდა, პრობლემებიც იყო). ამის გამოსავლენად არაერთი კვლევა და გამოკითხვა ჩატარდა.

დასაწყისში ტრენინგები შეფასების ჯგუფის ყველა წევრს ჩავუტარეთ კასკადური სისტემით, იმიტომ რომ, შეფასების ჯგუფი სრულიად ახალი თვისებრივი ერთეული იყო სკოლისთვის და გვინდოდა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიგვეტანა მასწავლებლებთან, დირექტორებთან, დირექტორის მოადგილეებთან, ფასილიტატორებთან. ტრენინგები, რაც დღემდე ხორციელდებოდა, ძალიან მასშტაბური იყო და, საბოლოო ჯამში, უკვე 100 ათას ადამიანზე მეტია გადამზადებული სხვადასხვა მიმართულებით. ამ ტრენინგებმა საკმაოდ კარგ შედეგებზე გაგვიყვანა, მაგალითად, თუ სქემის ამოქმედებისას მასწავლებლების 75% პრაქტიკოსი იყო, ერთი წლის შემდეგ მათმა რაოდენობამ 5%-ით იკლო, რაც კარგი წინსვლის მაჩვენებელია. 2017 წლის დასაწყისში სქემაში შევიტანეთ ცვლილებები, რაც დაფუძნებული იყო კვლევების შედეგებზე, გამოვლინდა, რომ მასწავლებლებს სჭირდებოდათ აქტივობების მეტი არჩევანი იმისათვის, რომ კრედიტ-ქულები დაეგროვებინათ და წინ წასულიყვნენ. ცვლილების შედეგად, იანვრიდან აქტივობები ძალიან გამრავალფეროვნდა და, ამ მოკლე პერიოდში შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქტივობებმა კარგად იმუშავა – მასწავლებელს კრედიტების დაგროვების და სტატუსის შეცვლის მეტი შესაძლებლობა გაუჩნდა (ამისთვის სხვადასხვა გზა გაჩნდა, თუნდაც დამატებითი აქტივობების სახით და ა.შ.), გარე საგაკვეთილო დაკვირვებაც ამოქმედდა, დასრულდა გარედაკვირვების პროცესის პირველი ეტაპი, რომელმაც საპილოტე რეჟიმში, მშვიდ გარემოში ჩაიარა და შედეგებიც მალე გახდება ცნობილი.

დიდი მოცულობის კასკადური ტრენინგები უკვე დავასრულეთ. ჩვენი სამომავლო გეგმები საჭიროებებზე მორგებული კონსულტაციების ჩატარებაა. ახლაც დაგეგმილი გვაქვს კვლევა, რომლის მიზანიც ისევ იქნება მასწავლებლების საჭიროების გამოვლენა და მათი გათვალისწინებით შეხვედრების, კონსულტირებების დაგეგმვა. ეს უფრო სამუშაო ტიპის შეხვედრები იქნება, შეიძლება ონლაინ ჩართვებითაც განხორციელდეს. გვინდა, თითოეულ რეგიონში, რაიონში მივიდეთ და ამ პროცესში შეფასების ჯგუფის წევრების გარდა, უშუალოდ მასწავლებელიც ჩაერთოს.

წელს, რადგან აქტივობები გამრავალფეროვნდა, მათ შესაფასებლად ცენტრმა სტანდარტიზებული ინსტრუმენტები შექმნა. შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რა თქმა უნდა, ყველა მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომია. გარდა ამისა, სპეციალურად მოვამზადეთ ვიდეოინსტრუქციები, რაც ასევე აბსოლუტურად ყველასთვის ხელმისაწვდომია. ვიდეოინსტრუქციაში ძალიან მარტივადაა აღწერილი ყველა დეტალი და იოლად აღსაქმელია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვიდეოინსტრუქციები არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვისაც ხელმისაწვდომია რუსული, აზერბაიჯანული და სომხური სუბტიტრებით.

აქტივობების შესაფასებლად, მასწავლებლებთან უკუკავშირის შედეგად, დაიგეგმა კონსულტაციები, მომზადდა კითხვარები და დაეგზავნა ყველა სკოლას. მათ გარკვეული ვადები ჰქონდათ განსაზღვრული კითხვარების შესავსებად. კითხვარების დახმარებით გამოვლინდა სკოლების და მასწავლებლების საჭიროებები, გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც უფრო მეტად აინტერესებდათ, შემდეგ გადამზადდნენ ტრენერები და დაიგეგმა კონსულტაციები. შეფასების ჯგუფის წევრებისთვის კონსულტაციები, რეგიონულ დონეზე, ორ ეტაპად განხორციელდა, ამ პროცესში რესურსცენტრებიც იყვნენ ჩართულები.

დღეს, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, შეფასების ჯგუფების, დაახლოებით, 77% სრულფასოვნად მუშაობს, რაც ცოტა ნამდვილად არ არის. ძირეული მიზანი იყო, სკოლის ბაზაზე განხორციელებულიყო მასწავლებლების შეფასება და ამით სკოლებში, ადგილზე, თანამშრომლობითი კულტურა გაძლიერებულიყო. ცენტრი, თავისთავად, ამ პროცესში მუდმივადაა ჩართული და მიმდინარეობს მონიტორინგი, თვალს ვადევნებთ როგორ მუშაობს შეფასების ჯგუფი. ჩვენი თანამშრომლობა, ძირითადად, რეკომენდაციის ხასიათისაა – აღმოვაჩენთ რაიმე შეცდომას, ვაძლევთ რეკომენდაციას, თუ როგორ გამოასწორონ გარკვეულ ვადაში. რეალურად, წელს შეფასების ჯგუფის მუშაობა, ჩვენი მონიტორინგის შედეგად, დადებითად შეფასდა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლებმა მათზე დელეგირებული პასუხისმგებლობა ბოროტად არ გამოიყენეს, შეფასების პროცესი არ იყო ლოიალური, მასწავლებლები მართლა ობიექტურად შეაფასეს. სულ 84 აპელაცია შემოვიდა, ნაწილი დაკმაყოფილდა – შეფასება დადებითით შეიცვალა, ნაწილს იგივე დარჩა.

მომავალი წლიდან სქემაში გარკვეული ცვლილებების შეტანა იგეგმება, რაც უფრო გაამარტივებს ბიუროკრატიულ პროცესებს. მაგალითად, შეიძლება უფრო გამარტივდეს დოკუმენტაციის ატვირთვა, რაც მთავარია, ეს ცვლილებები გაამარტივებს და უფრო მოქნილს გახდის სქემას მასწავლებლებისთვის, თუმცა, არ შეეხება გამოცდებს.

დიდი მოცულობის კასკადური ტრენინგები უკვე დავასრულეთ. ჩვენი სამომავლო გეგმები საჭიროებებზე მორგებული კონსულტაციების ჩატარებაა. ახლაც დაგეგმილი გვაქვს კვლევა, რომლის მიზანიც ისევ იქნება მასწავლებლების საჭიროების გამოვლენა და მათი გათვალისწინებით შეხვედრების, კონსულტირებების დაგეგმვა. ეს უფრო სამუშაო ტიპის შეხვედრები იქნება, შეიძლება ონლაინ ჩართვებითაც განხორციელდეს. გვინდა, თითოეულ რეგიონში, რაიონში მივიდეთ და ამ პროცესში შეფასების ჯგუფის წევრების გარდა, უშუალოდ მასწავლებელიც ჩაერთოს.

კონსულტაციებს ახლაც ვუწევთ მასწავლებლებს, ეს ჩვენი მოვალეობაა და ინდივიდუალური კონსულტაციები მუდმივ რეჟიმში გრძელდება.

– კონსულტაციების გარდა, რა სიახლეები იგეგმება, უნდა ველოდეთ თუ არა სამომავლოდ სქემაში რაიმე სახის ცვლილებას?

– მომავალი წლიდან სქემაში გარკვეული ცვლილებების შეტანა იგეგმება, რაც ბიუროკრატიულ პროცესებს უფრო გაამარტივებს. ამ ცვლილებების შესახებ კონკრეტულად ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ. მაგალითად, შეიძლება უფრო გამარტივდეს დოკუმენტაციის ატვირთვა, რაც მთავარია, ეს ცვლილებები გაამარტივებს და უფრო მოქნილს გახდის სქემას მასწავლებლებისთვის. თუმცა, ეს ცვლილებები, არ შეეხება გამოცდებს. მასწავლებელს შეუძლია კომპეტენციის დადასტურებაში (გამოცდაში) 1, 4, 7 ან 10 კრედიტ-ქულა აიღოს. მოქმედი მასწავლებლისთვის მთავარია კომპეტენციის დადასტურება, შეუძლია ერთი კრედიტი აიღოს და სტატუსის მინიჭებისთვის საჭირო რაოდენობის კრედიტ-ქულები მერე სხვა აქტივობებით შეავსოს.

რა თქმა უნდა, როგორც კი სქემაში ცვლილებები შევა, მოსამზადებელი იქნება ახალი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსები. ამას უკვე პროცესი გვიჩვენებს. დიდი სურვილი გვაქვს, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ეს ცვლილებები.

– რეალურად, რა აღმოჩნდა მასწავლებლებისთვის სქემის მუშაობის ყველაზე რთული მხარე?

– მასწავლებლების ნაწილს საკმაოდ უჭირს სქემის პროცედურებში და სკოლების მართვის ელექტრონულ სისტემაში გარკვევა. ხანდახან არის შემთხვევა, როცა მასწავლებელი რეკავს და გვეუბნება, რომ ატვირთა ოცი დოკუმენტი, სინამდვილეში კი ორი უნდა აეტვირთა, ანუ მას ამის შესახებ სწორი ინფორმაცია არ ჰქონდა. ამ შემთხვევაში, დახმარება, პირველ რიგში, ფასილიტატორმა უნდა გაუწიოს. ხშირად ფასილიტატორი თვითონ ტვირთავს დოკუმენტაციას და შეიძლება მას მოუვიდეს შეცდომა. თუმცა, საბედნიეროდ, ეს პრობლემა მასწავლებლებში მასშტაბური არ არის.

– შედის თუ არა ფასილიტატორის ფუნქციაში დოკუმენტაციის ატვირთვა e-school-ში და იქცევა თუ არა სწორად ამ შემთხვევაში ფასილიტატორი?

– ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტების ატვირთვა ყველა მასწავლებლის პირადი ვალდებულებაა. ფასილიტატორი შეიძლება მხოლოდ დაეხმაროს თავის კოლეგას.

– აქვს თუ არა მასწავლებელს უფლება, სახლიდან იმუშაოს დოკუნეტაციის ასატვირთად?

- სამწუხაროდ არა. ცენტრს იმედი აქვს, რომ სისტემა მასწავლებლებისათვის მომავალში სახლიდანაც ხელმისწავდომი გახდება. ეს გაამარტივებდა და უფრო მოქნილს გახდიდა პროცედურებს.

– თქვენ ახსენეთ გარე დაკვირვების რუბრიკის საპილოტე რეჟიმის დასრულება, რომლის შედეგებსაც მალე შევიტყობთ. ველოდებით თუ არა მენტორი მასწავლებლების ახალ ნაკადს?

– რა თქმა უნდა, გვეყოლება ახალი მენტორები. რაც შეეხება სტატუსის მინიჭებას, ეს სასწავლო წლის ბოლოს მოხდება. სამომავლოდ ცენტრს სურვილი აქვს სემესტრულად დაიგეგმოს, რაც მასწავლებლისთვის კარგი მოტივაცია იქნება, თუკი სემესტრის ბოლოს შეიცვლის სტატუსს და ერთ წელიწადს არ დაელოდება. გარე დაკვირვების რუბრიკის პილოტირება ძალიან მოკლე ხანში განვახორციელეთ და მნიშვნელოვან ცვლილებებს არც ამ რუბრიკაში ველოდებით, საკმაოდ მშვიდად და ობიექტურად ჩაიარა მისმა დატესტვამ და გარე დაკვირვების პროცესი იანვრიდან უკვე მასშტაბურად დაიწყება.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

სოციალური ინკლუზია

შემაჯამებელი კონფერენცია

„სოციალური ინკლუზიის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მიზანი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის მიზნით, განხორციელებული პროექტების შედეგების გაცნობა და საქართველოში მცხოვრები ბოშებისა და მესხების ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

აქტივობები, რომელიც პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, ხელს უწყობს ბოშა და მესხ მოზარდებში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებას, ქვეპროგრამაში მონაწილე მოხალისეებში კი, ტოლერანტული განწყობების ზრდასა და თვითშეგნების ამაღლებას მოქალაქედ ფორმირებისთვის.

ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ ხელგარჯილობის კლუბებში დამზადებული, ბოშური და მესხური თემატიკით დატვირთული, ხელნაკეთი ნივთები.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„მოწყვლადი ახალგაზრდების და ბავშვების განათლების უფლების რეალიზება და ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული მათგანი საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან. ეს მხარდაჭერა აუცილებლად სოლიდარობის, თანადგომის ფონზე უნდა იყოს გამოხატული. ამიტომ სოციალური ინკლუზიის პროგრამა ამ ახალგაზრდებისთვის, განსაკუთრებით კი ბოშა ბავშვებისთვის, ასევე რეპატრირებული ოჯახების, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის ცალკეულ აქტივობებს ახორციელებს და თითოეული აქტივობა ორიენტირებულია, რაც შეიძლება მეტი მათგანი გადმოვიბიროთ, შემოვიყვანოთ საგანმანათლებლო სივრცეში და მივცეთ საშუალება ისარგებლონ იმ სიკეთეებით, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობს.*

წინა წლების სამუშაოებისაგან განსხვავებით, წელს შეფასება თვითონ გასული წლის ბენეფიციარებმა მოახდინეს, თანატოლებთან ერთად შეაჯამეს ყველა პროექტი და პროგრამა, რომელიც განხორციელდა, ასევე წარმოადგინეს ხედვები, როგორ შეიძლება მომავალში კიდევ უფრო ეფექტური აღმოჩნდეს მსგავსი საქმიანობები. მნიშვნელოვანია მოსწავლეების ხედვა, რადგანაც ის განცდა ტოლერანტობის, თანადგომის, ურთიერთ მხარდაჭერის, რომელსაც ისინი ამ პროგრამის ფარგლებში იძენენ, კარგი მესიჯია სახელმწიფოსთვის, შემდგომში, როგორ ვიმუშაოთ იმ ბავშვებთანაც, რომლებიც ჯერ არ შემოსულან ამ პროგრამაში, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ისინი მოვიზიდოთ.“

დავით ბიბილეიშვილი, სტუდენტი: *„უკვე წლებია, რაც ამ პროექტში ჩართული ვარ და 3 წელია, რაც მე თვითონ ვარ ლიდერი და მოხალისე, ვმონაწილეობ სხვადასხვა პროექტის დაგეგმვა-განხორციელებაში, ღონისძიებების მომზადებაში, ასევე, ვხელმძღვანელობ დებატ-კლუბს 202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლაში, სადაც ორი სკოლის მოსწავლეები – უსინათლო და მცირემხედველ ბავშვთა საჯარო სკოლისა და, ამავე თემში არსებული, 77-ე სკოლის ბავშვებს, ინტეგრირებულ ჯგუფში, დებატების ხელოვნებას ვასწავლით. ამავდროულად, ხდება მათი სოციალიზაცია, ინკლუზია, ბარიერებისა და სტერეოტიპების მსხვრევა, ორივე მხარე უფრო მიმღები ხდება და ინტეგრირდება სამოქალაქო საზოგადოებაში. ვფიქრობ, ეს ჩემი მხრიდან, არის მცირეოდენი წვლილის შეტანა.“*

მარიამ ჯაში, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე: *„უდიდესი შთაბეჭდილების ქვეშ ვარ იმ პროგრამების მონაწილე ბავშვების მოსმენისგან, რომლებმაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან უდიდესი დახმარება მიიღეს. ბავშვები, რომლებიც ქუჩაში იყვნენ, დღეს არა მხოლოდ სკოლას დაუბრუნდნენ, არამედ სხვა ბავშვების მასწავლებლები გახდნენ. მინდა, მადლობა გადავუხადო განათლების სამინისტროს, თითოეული პროგრამის კოორდინატორს, ამ პროგრამაში ჩართულ ასეულობით მოხალისეს. ვფიქრობ, საზოგადოებამ ბევრად უფრო მეტად უნდა გაიცნოს ამ ბავშვების არაჩვეულებრივი ისტორიები, ისინი თანამედროვე საზოგადოების გმირები არიან, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. მინდა, ეს არაჩვეულებრივი ისტორიები, რომლებსაც დღეს გავეცანით, რაც შეიძლება მეტ ადამიანამდე მივიტანოთ.“*

მისივე განცხადებით, თანამედროვე სამყაროსთვის აბსოლუტურად მიუღებელია ის დისკრიმინაციული მიდგომები, რომელიც, დღემდე ხორციელდება მთელ მსოფლიოში. დღეს ყველა სოციალური კლასის თუ ადამიანთა ჯგუფის უფლებაა გარანტირებული კეთილდღეობა: *„დავიწყოთ ქალთა უფლებების მხრივ ან თუნდაც ანტირასისტული მოძრაობების შედეგად მიღწეული უდიდესი წარმატებებით. რამდენიმე საუკუნის წინ მონათვაჭრობა, იმ საზოგადოებებში მიღებული ტრადიციები და რეალობა, ერთ დღეს მიუღებელი გახდა და საზოგადოებამ უარი უთხრა არსებულ პრაქტიკას ძალიან დიდი ბრძოლისა და მცდელობის შედეგად. ბუნებრივია, თანამედროვე სამყაროში, წარმომავლობის, რასის, ეთნიკური კუთვნილების თვალსაზრისით, შეუძლებელია წარმოიდგინო, როგორ შეიძლება ადამიანები იყოფოდნენ სერვისის მიწოდების დონეზე – ვინ შეიძლება მიიღოს ესა თუ ის მომსახურება კერძო თუ სახელმწიფო სექტორში. ბედნიერი ვარ, რომ ჩვენ ვართ საქართველოს – ერთ-ერთი ყველაზე მრავალეროვანი და მრავალფეროვანი სახელმწიფოს შვილები. ჩვენ ვამაყობდით ძველი თბილისით, სადაც ყველა ადამიანი, განურჩევლად წარმომავლობისა და რწმენისა, პატივისცემის სუბიექტი იყო. სწორედ ასე უნდა გავაგრძელოთ,“* – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

მან მადლობა გადაუხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს განსაკუთრებული დაინტერესებისთვის ინკლუზიური თემატიკით, რომელიც მოიცავს ერთიან მიდგომას არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების თვალსაზრისით, არამედ ეთნიკური უმცირესობებისა და ეროვნული უმცირესობების კუთხით.

„რა თქმა უნდა, ყოველთვის მზად ვარ, ვიყო რიგითი ჯარისკაცი განათლების სისტემაში და მივიღო ის ცვლილებები, რაც აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდებისთვის,“ – აღნიშნა კომიტეტის თავმჯდომარემ.

კონკურსი უფროსკლასელთათვის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს თემაზე:

„ტრადიციული სათამაშოები“

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს დღემდე, უხუცესების მეხსიერებაში შემონახული სხვადასხვა კუთხის ხელნაკეთი სათამაშოების დამზადების ტექნოლოგია;
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- შექმნას განსხვავებული, შემოქმედებითი პლატფორმა სხვადასხვა ქვეყნების მოზარდების დამეგობრებისათვის;
- გაუღვივოს ახალგაზრდა თაობას ინტერესი წინაპრების კულტურისა და შემოქმედებისადმი;
- დაეხმაროს ახალგაზრდებს სხვა კულტურების გაცნობაში და ჩამოუყალიბოს მათდამი პატივისცემის გრძნობა.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური გულისხმობს სკოლაში, მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ სათამაშოს დამზადების აღწერილობას;

2. მოსწავლეების მიერ მოთხრობილი ამბის მიხედვით შესრულებულ (დახატული, გამოძერწილი, კონსტრუირებული და სხვ.) ილუსტრაციებს და მათ, მაღალი ხარისხით გადაღებულ, ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის). ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად jpg ფორმატში;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას (გადმოგზავნილი ასევე jpg ფორმატით);

4. ვორდის ფაილში დაწერილი ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს მონაწილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოებით, რათა ნამუშევრების გადარჩევისას კომისიის წევრებს გაუადვილდეთ მათი შეფასება.

***სასურველია,* ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.**

კონკურსის პირველი ტურის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com
- ან, მოგვაწოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“, მისამართზე: თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5.

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების შენიშვნების გათვალისწინებით, გადმოაგზავნიან დამატებით ინფორმაციას (ვორდი, ფოტო, ვიდეო ან აუდიო).

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

გამარჯვებული ავტორი (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდება საგანგებო სიგელით და მიიღებს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“-ს წოდებას. ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“ და გაშუქდება მედიით.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება;*
2. ნამუშევრის ავტორი მოსწავლის/მოსწავლეების – *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
4. სახელმწიფო, ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი).

7. ნიმუშის აღწერა

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*
- ნიმუშის სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*
- *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში და ვისგან ისწავლეთ მისი დამზადება?*
- *რას უკავშირდებოდა აღნიშნული სათამაშოს გამოყენება,* ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში თამაშობდნენ წარმოდგენილი ნიმუშით *(აღწერეთ გარემოება და თამაშის პროცესი (თუ ეს შესაძლებელია);*
- *აღწერეთ თავად ნიმუშის დამზადების პროცესი (მასალა და ტექნოლოგია);*
- *რა ატრიბუტები/იარაღები უკავშირდება/ახლავს თან მის დამზადებას/გამოყენებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში დააფიქსირეთ ფოტოზე);*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის დამზადების დროს;*
- *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, რელიგიურ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დასაბუთეთ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისათვის.*

სპეფიციკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო/აუდიო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა.

მოსწავლეთა განაცხადები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ნამუშევრის აღწერილობითი ნაწილი – 10 ქულა;
ნაკეთობის ტრადიციულობა – 10 ქულა;
ნაკეთობის ესთეტიკური მხარე – 10 ქულა.

კონკურსის გამარჯვებულებისთვის გამოყოფილია შემდეგი ადგილები:

- ერთი პირველი ადგილი;
- მეორე ადგილს გაიყოფს ორი მონაწილე;
- მესამე ადგილს გაიყოფს სამი მონაწილე.

შეფასება მოხდება ქულათა დაჯამების პრინციპით.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2018 წლის 20 მარტი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
მარინა თაქთაქიშვილი 599 08 40 03;
aramaterialuri@yahoo.com

აქტუალური თემა

მხოლოდ სკოლის მანდატურის სამსახურის გაძლიერებით სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ

საზოგადოებაში გრძელდება მსჯელობა იმაზე, თუ რა და როგორ შეიცვალოს განათლების სისტემაში, რომ მსგავსი ტრაგედიები (ვგულისხმობთ ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობას) აღარ განმეორდეს, რა პრევენციული ზომები იქნება ეფექტური მოსწავლეების ძალადობისგან დასაცავად. ამ საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრებას შემოგთავაზებთ.

დათო ტურაშვილი
მწერალი

„იმ დეგრადირებული საბჭოური ცნობიერების გამო, რომელიც მემკვიდრეობით დაგვრჩა იმ ქვეყნისგან, რომელიც ოფიციალურად აღარ არსებობს, ძალიან ძნელია პროგნოზების გაკეთება, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ამ საკითხისადმი კომპლექსურად და სწორად მიდგომის შემთხვევაში, პოზიტიური შედეგი მაინც გვექნება.

თქვენ რაც ჩამოთვალეთ (საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების ზომებისა და მანდატურის სამსახურის როლის გაძლიერება, სკოლებში უსაფრთხოების მონიტორინგში საპატრულო პოლიციის ჩართვა; მოსწავლეებთან ფსიქოლოგების აქტიური მუშაობა), აშკარად კომპლექსური მიდგომის მცდელობაა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მთავარი პრობლემა მენტალური სიბეცეა და ამიტომ მთავარი გამოსავალიც სწორედ იმ აზროვნების შეცვლაა, რაც იწვევს ამდენ ძალადობასა და აგრესიას ჩვენ ირგვლივ. ჩვენი საზოგადოება გაჯერებულია ერთმანეთისადმი ზიზღით. როცა ამას ნებისმიერი ახალგაზრდა ბავშვობიდან ხედავს და ესმის, თუ როგორ სძულთ უფროსებს ერთმანეთი, ძნელია ჰქონდეთ ჯანმრთელი გონება და ცნობიერება. ამიტომაც ყველა ჩამოთვლილ პრევენციულ ზომას დავამატებდი სალექციო კურსებსა და შეხვედრებს სკოლებში იმ ადამიანებთან, ვინც პატარებისთვის ავტორიტეტია და ვინც სწორად და კარგად აუხსნის მოსწავლეებს, რატომ არის ძალადობა და ძველბიჭური მენტალიტეტი გოიმებისა და ჩამორჩენილი ადამიანების არჩევანი.“

მარიამ რამინაშვილი
არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო ალიანსის“ თავმჯდომარე

„უმძიმესია ტრაგედიაზე კომენტარი. ფაქტი ერთია – ხელისუფლების მიერ წაქეზებული და შექებული ძალადობა, უპირველესად, ფაქტებად, ამბებად და ქცევად, მოზარდებში იჩენს თავს! ეს ტრაგედია არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული ფაქტი. ამ ამბავმა მოზარდების პრობლემების ლუსტრაცია მოახდინა. გაზრდილია აგრესია და, ფაქტია, რომ დაუსჯელობის სინდრომიც არსებობს. ყველაფერი კი, დიდი სისწრაფით უკან მსვლელობისას, ძალიან ჰგავს ავბედით 90-ანებს.

შეიძლება არაპოპულარული იყოს ჩემი პოზიცია, მაგრამ ეს ამბავი ქვეყანაში არსებული ვითარების ერთი კონკრეტული გამოვლინებაა და ერთი სკოლის მიერ, ნებისმიერ შემთხვევაში, მისი პრევენცია შეუძლებლად მიმაჩნია. თუმცა, თავის მხრივ, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ საგანმანათლებლო სისტემამ თავისი პასუხისმგებლობა არ გააცნობიეროს. უახლოეს წარსულში, ყველას გვახსოვს, სკოლებში მანდატურის სამსახურის გაუქმების არგუმენტად ამ უკანასკნელის პოლიციური ხასიათი განიხილებოდა. რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა უარყოფითად იმოქმედა მანდატურის სამსახურის ავტორიტეტზე, მის საქმიანობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეზღუდა მანდატურის საქმიანობა სკოლაში და ფაქტობრივად, ფორმალურ ინსტიტუციად გადააქცია. დღეს კი, როცა პრობლემის წინაშე დავდექით, გამოსავლად სკოლაში არათუ მხოლოდ მანდატურის, არამედ პოლიციის მონაწილეობაც განიხილება. თვისთავად ამაში ცუდი არაფერია, თუმცა ვერც ეს გადაწყვეტს პრობლემას.

ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, ვიდრე სახელმწიფო არ უზრუნველყოფს, რომ ქვეყანაში დასჯილი იყოს დამნაშავე, არ იყოს წახალისებული ბულინგი და ყველასთვის ერთი სამართალი არსებობდეს, ვერასოდეს შევძლებთ მოზარდებში ძალადობის პრევენციის უზრუნველყოფას.

აუცილებლად უნდა გააქტიურდეს სკოლებში პრევენციული საგანმანათლებლო აქტივობების, სასკოლო დისციპლინის დაცვის, ბულინგისა და ძალადობის წინააღმდეგ მუშაობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, უნდა მოისპოს შერჩევითი სამართლის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც ამ ბოლო დროს სკოლებში ძალიან გახშირებულია.“

გულიკო ხორგალაძე
128-ე საჯარო სკოლის დირექტორი

„არსებობს ფრაზა – „ცეცხლი უკვალოდ არ ჩნდება“. ჩემი აზრით, პრევენციის მიზანია ურმის გადაბრუნებამდე შევამჩნიოთ ის სიმპტომები და მთავარი ნიშნები, რაც კონფლიქტური სიტუაციის წინა პერიოდს ახლავს. პედაგოგიური გამოცდილება გვკარნახობს, რომ მოზარდთა შორის ურთიერთობების გამწვავებას თან ახლავს: დაძაბულობა, უთანხმოება, უხეში საუბრები, უხამსი სატელეფონო გზავნილები და სხვა ნეგატიური განწყობები.

128-ე საჯარო სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარე, ვცდილობთ კონფლიქტში მყისიერად ჩავერიოთ, ჩავრთოთ მშობლები, შევარიგოთ მოსწავლეები, დროულად გამოვავლინოთ რისკები, რათა არ მივიღოთ კონფლიქტის გამწვავებული სახე. ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა. ბავშვში აგრესია, თანატოლისადმი მტრული განწყობა არ განეიტრალდება ერთჯერადი, თუნდაც, დირექტორთან შეხვედრით ან მანდატურის ჩარევით. ასეთ ბავშვთან აუცილებელია დამრიგებლის ინდივიდუალური, სისტემატური მუშაობა.

რაც შეეხება მეორე მიმართულებას ვცდილობთ, კლასებში შევქმნათ პოზიტიური ურთიერთობები. როცა კლასში, მოსწავლეებს შორის, მეგობრული ატმოსფეროა და კლასი ერთი ოჯახივითაა, ნაკლებია სისასტიკის გამოვლენის რისკი. პოზიტიური ურთიერთობების შექმნას სამი მიმართულებით ვცდილობთ: პირველი, ეს არის ქცევის წესები – როგორ უნდა იქცეოდნენ მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში, კლასებში გამოკრულია ურთიერთთანამშრომლობასა და პატივისცემაზე დამყარებული წესები (პატივს ვცემთ ერთმანეთის აზრს, თუნდაც არ ვეთანხმებოდეთ, შეცდომის დაშვების დროს მიუღებელია დაცინვა, გაკიცხვა და სხვა).

მესამე – ვახორციელებთ საგაკვეთილო პროცესზე მონიტორინგს. გულდასაწყვეტია, რომ ზოგჯერ საგაკვეთილო პროცესს ისევ ძველი, საბჭოური რუტინა გასდევს: მოსწავლეები სხედან ერთმანეთის ზურგს უკან, არ არის კომუნიკაცია, გაკვეთილის პროცესში მათი ჩართულობაც ნაკლებია, პედაგოგები მხოლოდ ერთეულ მოსწავლეებზე გადიან. ამ სიტუაციის შესაცვლელად ტრენინგებზე, სამუშაო თათბირებზე მასწავლებლებს ყურადღებას ვუმახვილებთ პოზიტიური საკლასო გარემოს ჩამოყალიბებაზე, ვთავაზობთ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად დანერგონ თანამშრომლობითი მუშაობის სტრატეგიები: წყვილებში, ტრიადებში, ჯგუფებში. ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ თანამშრომლობითი სტრატეგია, ჯგუფური მუშაობა შესანიშნავი საშუალებაა კარგი, მეგობრული და სრულყოფილი ატმოსფეროს შესაქმნელად, რისთვისაც სკოლაში მასწავლებელთა შორის ვნერგავთ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ კულტურას. ხელს ვუწყობთ სასწავლო თემის შექმნას და მასწავლებელთა შორის ურთიერთგამოცდილების გაზიარებას. ისინი ერთიანდებიან საერთო მიზნის გარშემო, განიხილავენ საგნების სწავლა-სწავლების პრობლემურ საკითხებს, ამუშავებენ საგაკვეთილო გეგმებს, შეიმუშავებენ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების გზებს თავიანთი პედაგოგიური პრაქტიკის შესაცვლელად.

როცა დანაშაული ხდება, ხშირად ვაწყდებით ფაქტს – მშობელი იცავს შვილს: „ისე არ დაარტყამდა, აუცილებლად იქნებოდა ამის წინაპირობა“, „რამდენჯერაც ცუდად მოექცევიან, იმდენჯერ დაარტყამს ჩემი შვილი, ამაში წინ ვინ დაუდგება“. სამწუხაროდ, ხშირად ვისმენთ ასეთ ფრაზებს მშობლებისგან. ძალიან ძნელია მათი მენტალობის შეცვლა. წარმოიდგინეთ, ერთდროულად, სკოლამ უნდა მოახერხოს მშობლის დამოკიდებულების შეცვლა, მოსწავლის აგრესიის განეიტრალება, მშობლის მიერ ჩანერგილი იდეის – „დაგარტყამენ დაარტყი“ – ამოშლა მათი ცნობიერებიდან. ფსიქოლოგიური მიდგომაა საჭირო, ძალიან გვიჭირს მშობლებთან მუშაობა, თუნდაც იმის გამო, რომ რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეების მშობლები, ხშირ შემთხვევაში, გაშორებულნი არიან, რაც მოზარდს მეტად დიდ ტრავმას აყენებს და ხშირად აგრესიულს ხდის. არიან მოსწავლეები, რომელთა მშობლები უცხოეთში არიან წასული, ისინი ხშირად ნათესავთან ან ბებია-ბაბუასთან იზრდებიან.

მშობლის ჩართულობა ყველაზე მთავარია, იმავდროულად, ძალიან რთული საქმეა. ჩემი და რამდენიმე პედაგოგის ინიციატივით, სკოლაში, საგანგებო სოციალური პროექტი წამოვიწყეთ. მშობლები, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, ჩავრთეთ სკოლის ბიბლიოთეკის რეორგანიზაციაში. შევაგროვეთ მაკულატურა, მოვაწყვეთ აქციები და ა.შ. მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით შემოსული თანხით ვაპირებთ ვიყიდოთ წიგნები და გავამდიდროთ სკოლის ბიბლიოთეკა, რადგან ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა კატასტროფულ მდგომარეობაშია.

სკოლაში არის კიდევ ერთი, ხანგრძლივი დასვენების (ვგულისხმობ 20-წუთიან დასვენებას) პრობლემა. სამწუხაროდ, მინისტრის ბრძანებით არის განსაზღვრული და ჩვენ დასვენების შემცირების უფლება არ გვაქვს. ჩვენი სკოლა ძალიან პატარაა, არ გვაქვს სპორტული დარბაზები, არ გვაქვს სათანადო სიდიდის ბიბლიოთეკა, სასადილო, დერეფნებიც ვიწროა. დიდ დასვენებაზე ჭირს კონტროლი მოსწავლეთა მოძრაობაზე, დაჯახება, რა თქმა უნდა, იწვევს გარკვეულ ტრავმებს. ჩვენ შემთხვევაში იდეალური იქნებოდა ორი 10-წუთიანი შესვენებით მუშაობა. კარგი იქნება, თუ დასვენებების საკითხს თავად სკოლა დაარეგულირებს ადგილობრივი პირობების თანახმად.

მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის საქმეში დიდია სკოლის ფსიქოლოგის როლი. სკოლაში ფსიქოლოგი და სპეციპედაგოგი გვყავს, მაგრამ ისინი, ძირითადად, დაკავებული არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობით. რაც შეეხება მანდატურის ფსიქოლოგის სამსახურს, მათთანაც ვთანამშრომლობთ, თუმცა მშობლები ძნელად გვთანხმდებიან იმაზე, რომ შვილები ამ ცენტრში ატარონ. მოგეხსენებათ, ქცევის მართვა უდიდესი პრობლემაა, არსებობს მეთოდური ლიტერატურა, ქცევის მართვის სტრატეგიები, მაგრამ თითოეული ბავშვი თითო სამყაროა, სადაც შეღწევა და ქცევის კორექცია ძალიან რთულია. ამ საქმეში ჩვენს დამრიგებლებსაც და ფსიქოლოგებსაც სჭირდებათ პროფესიული მხარდაჭერა და დახმარება, თუნდაც ტრენინგების სახით.

დანაშაულის პრევენციის მიზნით ხშირად ვაწყობთ საინფორმაციო შეხვედრებს მშობლებთან, ისინი მიესალმებიან სკოლის მჭიდრო თანამშრომლობას სამართალდამცავ ორგანოებთან, რეიდების ჩატარებას, მანდატურის სამსახურის გაძლიერებას. მისასალმებელია, რომ პატრული გააკონტროლებს სკოლის მიმდებარე ტერიტორიას, რათა საეჭვო პირები არ შეგროვდნენ სკოლის მახლობლად. იმედია, მომავალში მსგავსი ტრაგედიის წინაშე არცერთი ჩვენგანი არ აღმოვჩნდებით.“

მანანა მელიქიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

„ძალადობა ინდივიდუალური, ჯგუფური, სოციალური, კულტურული ფაქტორების რთული ურთიერთქმედების შედეგია. აქედან გამომდინარე, ბავშვზე ძალადობის პრევენციაც სხვადასხვა გამომწვევი ფაქტორისაკენ არის მიმართული. პრევენციის წარმატებით განსახორციელებლად აუცილებელია: საკანონმდებლო, საგანმანათლებლო, დასაქმების, სასამართლო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჩართვა. ბავშვებში და ბავშვებზე ძალადობის აღკვეთა, ფაქტობრივად, ყველა ადამიანის საქმე უნდა იყოს. მხოლოდ ყველა სექტორის კოორდინირებული მუშაობითაა შესაძლებელი ძალადობის დასაძლევად ქმედითი და ეფექტიანი გზების გამოძებნა.

ვფიქრობ, მანდატურმა უნდა აკონტროლოს, საჭიროების შემთხვევაში, აღკვეთოს ძალადობის ფაქტები და აღნიშნული ფაქტის არსებობის შემთხვევაში, აცნობოს სკოლის ადმინისტრაციას. მხოლოდ სკოლის მანდატურის სამსახურის გაძლიერებით სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. საჭიროა სკოლებში ფსიქოლოგების შტატის დაშვება, რომლებიც იმუშავებენ ბავშვებთან არა ერთჯერადად, არამედ პერმანენტულად.

რაც შეეხება ბულინგს, რომელიც ჩვენს სკოლებში საკმაოდაა გავრცელებული, მისი პროფილაქტიკისთვის საჭიროა:

1. პრობლემის არსებობის აღიარება – სკოლამ უნდა აღიაროს არსებული მოვლენის არსებობა (ხშირად სკოლა ამას არ აღიარებს). სასურველია, სკოლის თანამშრომლებს შეუერთდნენ ბავშვებიც და მშობლებიც. პირველად უნდა დადგინდეს პრობლემის მასშტაბები. ეს შეიძლება განხორციელდეს მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ანონიმური გამოკითხვით.

2. პრობლემის განსაზღვრა – მისი არსი, სერიოზულობა, სიხშირე, ხანგრძლიობა.

3. სამუშაო გეგმის შემუშავება და რეალიზაცია: სკოლაში ძალადობის ნებისმიერი აქტის მიუღებლობა; დაკვირვების განხორციელება სკოლის დერეფანში, ეზოში, ბუფეტში და ა.შ.; მუშაობა კლასთან თავისუფალი დისკუსიის რეჟიმში; სკოლის ეთიკური კოდექსის შემუშავება; სკოლის ფსიქოლოგის მუშაობა ბავშვებთან.“

მოამზადა მაკა ყიფიანმა

ПРОФЕСИА ПЕДАГОГИ

ეს ჩემი სამსახურია – მისი უდიდებულესობა სკოლა! აქ ძალიან მაღალ და პრესტიჟულ პოზიციაზე ვმუშაობ – მასწავლებელი ვარ

I am a teacher – აი, ამ წარწერით ფეისბუქმა პროფილის ახალი ჩარჩო შემოგვთავაზა. ძალიან მომინდა #„ასეთწარწერიანი“ პროფილი.

მერე გავიფიქრე, რაღა წარწერა გჭირდება, ისედაც შუბლზე გაზის ეგ ნიშანი და ერთი-ორი სიტყვით დაგეწერა, რას განიცდი, როგორც Teacher, ყველა შაბლონს ეგ აჯობებს-მეთქი და ამიტომ დავწერე.

ყველაფერი 1987 წელს დაიწყო და 30 წელია გრძელდება.

უკეთესი საქმე ვერსად აღმოვაჩინე. რამდენჯერმე გავექეცი კიდეც; გადაღლილობა და დეპრესია მოვიმიზეზე: მორჩა! ჩემი ცხოვრება მინდა! ამის ატანა აღარ შემიძლია-მეთქი, მაგრამ მალე ისევ უკან ვბრუნდებოდი.

რას არ გავუძელით ერთად მე და ჩემმა მოსწავლეებმა: ომს, ყინვას და სიბნელეს, მაგრამ ეს საქმე არ მოვიბეზრეთ; არც ქვეყანა შევიცვალეთ, არც შეხვედრის ადგილი, არც აზრი (ერთმანეთზე). ამიტომ გავბევრდით, მიუხედავად იმისა, რომ კუპონის ხელფასითაც სცადეს ჩვენი გათიშვა, რომ იქნებ იმედგაცრუებულ მასწავლებლებს რამე სხვა უფრო ხელსაყრელი მოგვეძებნა, მაგრამ მაინც დავრჩით, ნავთქურებს მივეფიცხეთ და დილას კარს ვუღებდით სახლიდან გაყინულ სკოლაში მოსულ მობუზულ ბავშვებს.

ჩაიარა იმ დრომ – ცივმა, შავ-ბნელმა და ბრმა ტყვიის შიშით დამფრთხალმა; სამსახურში ფეხით სიარულისა და ბევრ თბილ ტანსაცმელში გამოხვევის დრომ, როცა „ზაბლონა მასწავლებელივით“ ჩაცმულებმა ჩვენს გარეგნულ იერს (მაშინ ახალგაზრდები ვიყავით) სრული ზაბლონიზაცია შევარქვით.

სკოლაში დადებული ნაღმის შესახებ გამაფრთხილებელი ზარის შემდეგ მე და ჩემმა მოწაფეებმა შენობის ევაკუაციაშიც ზუსტად 14-ჯერ მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ მეორე დღეს ისევ საკლასო ოთახში ვხვდებოდით ერთმანეთს.

დღემდე ისინი ჩემგან ხან თანაგრძნობასა და ნუგეშს, ხან კი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას ელოდებიან და მეც ვარ ამ საქმეში: ვუზიარებ, ვანუგეშებ, თანავუგრძნობ, ვსწავლობ და ამ ნასწავლს ისევ იმათ ვუბრუნებ. თუ გაკვეთილი გამოდის და ტემპერატურა იმატებს, ბედნიერებისგან ყველა დარდი და საწუხარი მტოვებს.

მე და ჩემი მოსწავლეები უკვე ძალიან ბევრნი ვართ. დიდი კაცები და ქალებიც არიან მათ შორის.

მე მათ ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი, ავად თუ კარგად... მაგრამ აპრილის ბოლოს, ერთ დღეს, როცა „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგს მივადგებით ხოლმე, სკოლას არც ერთი მათგანი არ აცდენს და როცა „გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისას“ ჩავიკითხავთ, ხან ტაში მოსხლტება, ხან ცრემლი; ზოგი დგება და ხელებგაშლილი მოდის ჩემკენ, „რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო“.

ქართული ლიტერატურის საგანძურიდან რა არ ამოგვიძვრენია მე და მაგათ!! აგურს აგურზე ვდებდით, ისე ვაშენებდით და მერე ვათბობდით ერთ დიდსა და სიყვარულით სავსე სახლს მე და ბავშვები... ისინი იცვლებოდნენ, მე ვრჩებოდი.

სად არ ვცადე ბედი: კინოსტუდიაში, კერვასა და ცხობაში, წერასა და თარგმნაში, ლექტორობაში, კერძო გაკვეთილებში, სამოდელო ბიზნესშიც კი, მაგრამ სიბერემ მაინც აქ მომისწრო, ამ ღვთაებრივი შთაგონებით წამომართულ შენობაში.

ეს ჩემი სამსახურია – მისი უდიდებულესობა სკოლა! აქ ძალიან მაღალ და პრესტიჟულ პოზიციაზე ვმუშაობ – მასწავლებელი ვარ.

ჯანა ამირეჯიბი
კიკეთის იაკობ გოგებაშვილის სახ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

21 წელია მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი, ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, ბევრ რამეზე მტკივა გული, განსაკუთრებით განვიცდი, რომ დღეს მომავალ თაობას უჭირს საკუთარი მოვალეობების გაცნობიერება. დაიკარგა სიყვარული, პატიება, თანადგომა... დაისადგურა თაობებს შორის გაუცხოებამ. ამიტომაც გადავწყვიტე, მივმართო ჩვენს შვილებსა და ჩვენს მოსწავლეებს.

* * *

შენ ალგეთის ლეკვი ხარ!
შენ ჩემი ქვეყნის მომავალი ხარ!
შენ ხვალინდელი დღის გათენება ხარ!

თვალებში შემომხედე და მომისმინე! ცხოვრება შენია, სიცოცხლე ლამაზია, საღად ფიქრი – ჯანმრთელობაა, სიყვარული – გადარჩენაა... იკითხე, ისწავლე, ცოდნა დაიგროვე და მამულს ისე უპატრონე. ძმას ხელი ჩასჭიდე, მოყვასი გულით შეიყვარე და იცოდე, სამშობლო მიწის ერთ გოჯსაც ვეღარ წაგართმევენ.

შეისისხლხორცე თანაგანცდა. შეძელი, ხანდახან ცხოვრებას სხვისი თვალითაც შეხედო. იცოდე, მაშინ აღარ შეგაწუხებს ბრაზი. საკუთარ თავს მიტევება ასწავლე. ადამის ძის მოღერებულ მუშტს ორივე ხელი მოჰკიდე, მაგრად მოჰკიდე, გააშლევინე და ხელი ჩამოართვი. ეცადე და გადაარჩინე, რომ ის მუშტის მონად არ იქცეს.

აპატიე... გული გატკინეს? გაწყენინეს? ცუდად შემოგხედეს? შენი ღირსება შეილახა? მაინც აპატიე... ამაღლდი სიძულვილზე, სამაგიეროს გადახდაზე... სისხლს ხომ სისხლით ვერ გადარეცხავ. მიიყვანე დამნაშავე სინანულამდე, „სიკეთით სძლიე შენს მტერსა...“, დარწმუნდები, ღირსეულს უღირსები ღირსებას ვერ შეულახავენ.

შეიყვარე მზე, სითბო, სინათლე. დაწერე, დახატე, გამოძერწე... იფიქრე სხვებზე. მიეცი საშუალება გულსა და გონებას, დრო და ადგილი ასწავლონ შენს ყოველ ნაბიჯს! შეიყვარე და გაუფრთხილდი. ყველაზე მთავარი სიყვარულის შენარჩუნებაა. შეიგრძენი ბედნიერება და ყოველ წუთს გახსოვდეს, შენი ბედნიერება სხვებსაც ეკუთვნით.

არც მწუხარებაა მხოლოდ სხვისი. სხვისი მწუხარება გაიყავი. დამიჯერე, ეს შენს ბედნიერებას არაფერს დააკლებს. უბრალოდ, შეძლებ, სხვას გაუადვილო ტვირთის ტარება.

ისწავლე მეგობრობის ფასი. გაითანაბრე შენი მეგობრები, იფიქრე მათზე. თუ მათ თვალებში დარდს შენიშნავ, საკუთარ თავს ჰკითხე: „რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?“-თქო. ამოუდექი მხარში, ნუ მიატოვებ ჭირსა და ლხინში. მუდამ გახსოვდეს, „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ნუ იქცევი საკუთარი თავის მტრად. წაიკითხე „ვეფხისტყაოსანი“. რთული სასწავლია? ბევრი საზეპირო მოგცეს და ინტერესი დაკარგე? არა! ნუ დაიზეპირებ, წაიკითხე, აუცილებლად წაიკითხე... წაიკითხე, როგორც სიბრძნით სავსე წმინდა წიგნი. უბრალოდ, ყურადღებით კითხვას მიეჩვიე და მერე მიხვდები, რატომ მოგვეცა ჩვენ, „კაცთა“, უთვალავი ფერებით სავსე სამყარო... „იავთანდილე“ და მერე მასავით ამაყად თქვი: „ნუ გეშინია! კაცი ვარ, ადამიანი!“-თქო.

შეიყვარე ვარსკვლავები, დაბნელებულ ცაზე რომ კიაფობენ. დაწერე... დახატე... გამოძერწე... იცეკვე... დაუკარი... იმღერე... ძალა შენებას მოახმარე და არა ნგრევას. ახალი ხე დარგე, მაგრამ მამაშენის დარგულსაც დაუსხი წყალი, ნუ გაახმობ! შენს ვენახში გახარებულ ვაზს მიწა გაუფხვიერე, მზე მიუშვი მასთან, გასხალი, ტოტები შეუსწორე, აკეთე ის, რასაც პაპაშენი აკეთებდა და სულ გახსოვდეს, რომ მისი ცხოვრების გაგრძელება ხარ. მისი სიცოცხლე შენში დარჩა, ნუ მოკლავ მას შენში! ნუ იქნები საკუთარი სისხლის მკვლელი!

სასთუმალთან ილიას და ვაჟას ნაწერები დაიწყვე. ძილის წინ თუნდაც მხოლოდ ერთი გვერდი წაიკითხე და დამიჯერე, სწორად ფიქრს ისწავლი. არ დაიზარო, წაიკითხე... გადაშალე „კაცია-ადამიანი?!“... გადაშალე „მგზავრის წერილები“... დაკვირდი, როგორ ზრდის ოთარაანთ ქვრივი თავის შვილს... თვალი მიადევნე, რა არის „დასაწყისი განთიადისა“... უკვე ისწავლე და აღარ გინდა ახლიდან წაკითხვა? მაინც წაიკითხე... მიხვდები, როგორ გაიზრდება და დაიხვეწება შენი შეხედულებები. გაინტერესებს, რა თქვა კლდემ მხოლოდ ერთხელ? გაინტერესებს, რა აწუხებს დაობლებულ შვლის ნუკრს, ხმელ წიფელს, იას? V-VI კლასებში რომ ისწავლე, საკმარისია?! არა, კიდევ წაიკითხე. იტირე შვლის ნუკრთან ერთად და ეგ ცრემლები გაგიწმენდს სულს... თუ ხმელ წიფელს ყურს კარგად დაუგდებ, მიგახვედრებს, როგორ უნდა მოექცე ბებიებსა და პაპებს, დარწმუნდები, რომ მათ ფესვებზე ამოსული ყლორტი ხარ – მათი ერთადერთი იმედი... ნუ მოუკლავ მათ იმედს!

თვალებში შემომხედე და გულწრფელად მომიყევი, რა გაწუხებს... ნუ დამიმალავ. შეიძლება, ცოტა გაგიბრაზდე, მაგრამ დამიჯერე, მოგეხმარები... სიბრაზე ნუ შეგაშინებს, ეგეც შენთვის მჭირდება, იცოდე. გაგიგებ, მეც ჩაგკიდებ ხელს...

დამეყრდენი...

მკითხე...

თუ საჭიროდ ჩათვლი, მირჩიე კიდეც. დამიმეგობრდი, მაგრამ სულ გახსოვდეს, რომ მე შენი უფროსი მეგობარი ვარ...

შენ კი ალგეთის ლეკვი...

შენ ჩემი ქვეყნის მომავალი ხარ...

შენ ხვალინდელი დღის გათენება ხარ! (ნუ დაღამდები...)

მე კი...

მე მშობელი ვარ შენი, რომელმაც სწორად სავალი ბილიკი უნდა გაგიკვალო.

მე დედა ვარ შენი, „ქართლის ვედრება რომ უნდა ვისმინო“ და ისე აღვზარდო შენი სული (და არა მარტო სხეული!).

მე მასწავლებელი ვარ, რომელმაც თითოეულ გაკვეთილზე ყოველი წუთი შენს ბედნიერ მომავალს უნდა მივუძღვნა...

და თუ ეს ასეა, მაშინ თვალებში შემომხედე. შემომხედე და მომისმინე... მომისმინე, გთხოვ!

ქეთევან ილურიძე
არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“ მშობლიური ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი
2017 წლის დეკემბერი

ბავშვთა უფლებები

ციფრული სამყაროს გავლენა ბავშვებზე

ლალი ჯელაძე

„უზრუნველვყოთ ციფრული სამყაროს უსაფრთხოება და გავზარდოთ ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ყველაზე დაუცველი ბავშვებისათვის“ – ამ განცხადებას გაეროს ბავშვთა ფონდი აკეთებს და აქვეყნებს ანგარიშს ციფრულ ბარიერებზე და აანალიზებს ინტერნეტისა და სოციალური მედიის გავლენას ბავშვების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები მასიურად სარგებლობენ ინტერნეტით (მსოფლიო მასშტაბით, 3 ინტერნეტმომხმარებლიდან 1 ბავშვია), ძალიან ცოტა რამ კეთდება ციფრულ სამყაროში არსებული საფრთხეებისგან ბავშვების დასაცავად და უსაფრთხო ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, – ნათქვამია გაეროს ბავშვთა ფონდის მთავარ წლიურ ანგარიშში.

„ბავშვები ციფრულ სამყაროში“ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ წარმოდგენილი პირველი სრულყოფილი მიმოხილვაა, რომელშიც სხვადასხვა ჭრილშია განხილული ციფრული ტექნოლოგიების გავლენა ბავშვების ცხოვრებაზე და მომავლის პერსპექტივებზე, განსაზღვრულია საფრთხეები და შესაძლებლობები. ანგარიშში ნათქვამია, რომ მთავრობები და კერძო სექტორი ჩამორჩებიან ცვლილებების ტემპს, შედეგად კი მატულობს ბავშვებისთვის ახალი რისკებისა და ზიანის საფრთხე, მილიონობით დაუცველი ბავშვი კი სრულიად უგულვებელყოფილი რჩება.

„სასიკეთოდაც და საზიანოდაც, ციფრული ტექნოლოგიები ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა“ – ამბობს გაეროს ბავშვთა ფონდის აღმასრულებელი დირექტორი **ენტონი ლეიკი**. *„ციფრულ სამყაროში ჩვენ ორმაგი გამოწვევის წინაშე ვდგავართ – შევამსუბუქოთ ზიანი და ამავდროულად მაქსიმალურად სასარგებლო გავხადოთ ინტერნეტი ყოველი ბავშვისთვის. ინტერნეტი ზრდასრულებისთვის შეიქმნა, მაგრამ მას სულ უფრო მეტი ბავშვი და ახალგაზრდა იყენებს და ციფრული ტექნოლოგიების გავლენა მათ ცხოვრებასა და მომავალზე დღითი დღე იზრდება. ამიტომ, ციფრული პოლიტიკა, პრაქტიკა და პროდუქცია უკეთ უნდა ესადაგებოდეს ბავშვების საჭიროებებს, ასახავდეს მათ პერსპექტივებსა და მათ სათქმელს“* – ამბობს ენტონი ლეიკი.

ანგარიშში შესწავლილია შესაძლებლობები, რომელთა შეთავაზებაც შეუძლია ციფრულ ტექნოლოგიებს ყველაზე დაუცველი ბავშვებისთვის, მათ შორის იმათთვის, ვინც სიღარიბეში იზრდება თუ ჰუმანიტარული კატასტროფის მსხვერპლია. ეს გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ციფრულ ტექნოლოგიებთან მუშაობისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას და ბავშვების უზრუნველყოფას სათანადო პლატფორმით, რათა მათ საკუთარი შეხედულებების გაზიარება მოახერხონ.

ანგარიში ასევე ცხადყოფს, რომ ბევრი ბავშვი ინტერნეტს მიღმაა დარჩენილი. მსოფლიო ახალგაზრდობის, დაახლოებით, ერთი მესამედი – 346 მილიონი, ინტერნეტით არ სარგებლობს, რაც ამძაფრებს უთანასწორობას და ზღუდავს ბავშვების მონაწილეობის შესაძლებლობას მზარდ ციფრულ ეკონომიკაში. ასევე ხაზგასმულია ის, თუ რამდენად ზრდის ინტერნეტი რისკისა და ზიანის საფრთხეს ბავშვებისთვის, მათ შორის პირადი ინფორმაციის ბოროტად გამოყენების, საზიანო შინაარსის შემცველი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და კიბერბულინგის თვალსაზრისით.

„მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“ ეხება განსაკუთრებულ თემას, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერ ზეგავლენას ახდენს მილიონობით ბავშვის ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში და შესაბამისად აისახება თითოეული ჩვენგანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე – ეს არის ციფრული ტექნოლოგიები. ვინაიდან ციფრული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი ინტერნეტის ზეგავლენა საგრძნობლად გაიზარდა, უფრო ხშირად გვიწევს მის შედეგებზე მსჯელობაც: არის თუ არა კაცობრიობისთვის სასარგებლო კომუნიკაციისა თუ ვაჭრობის, სწავლისა თუ თავისუფალი თვითგამოხატვის შეუზღუდავი შესაძლებლობები? თუ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენთვის, არღვევს საზოგადოებრივ ქსოვილს, ძირს უთხრის პოლიტიკურ წყობას და საფრთხეს უქმნის ადამიანთა კეთილდღეობას? ეს საინტერესო საკითხია, რომელიც აკადემიური კამათის საგანი უნდა იყოს. სასიკეთოა თუ საუბედურო ციფრული ტექნოლოგია, უკვე რეალური ფაქტია ჩვენს ყოფაში და ეს შეუქცევადი პროცესია.

სასიკეთო მაგალითები: *ცერებრალური დამბლის მქონე ბიჭი, რომელიც თანატოლებთან ინტერნეტით ურთიერთობს, სწორედ ინტერნეტის წყალობით თანაბარ პირობებშია: ცხოვრებაში პირველად მისი შესაძლებლობები უფრო მეტია, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობა; გოგონა, რომელიც სირიის არაბული რესპუბლიკიდან ძალადობას გამოექცა, ოჯახთან ერთად, ზაატარის ლტოლვილთა ბანაკში, მასწავლებლის დახმარებით, რომელიც მას ციფრული ტაბლეტის გამოყენებით ასწავლის, მომავლის იმედს იბრუნებს; კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახალგაზრდა ბლოგერი ინტერნეტს იყენებს სუფთა წყლის უქონლობის, სანიტარიული ან მის თემთან დაკავშირებული სხვა აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად.*

ზიანის მაგალითები: *გოგონა, რომელსაც ოჯახში ან თემში გავრცელებული წესები ინტერნეტით სარგებლობას უკრძალავს, მოკლებულია სწავლისა და მეგობრებთან ურთიერთობის შესაძლებლობას; მოზარდი, რომლის პირად ინფორმაციასაც ბოროტად იყენებენ და ქსელში ავრცელებენ ადამიანით მოვაჭრეები; ბიჭი, რომელსაც ვიდეოთამაშებზე დამოკიდებულებამ ცხოვრება წაართვა, ასე ფიქრობენ მისი მშობლები. არსებობს კიდევ* ***უარესი მაგალითებიც:*** *გაუსაძლისი კიბერბულინგის გამო თვითმკვლელობამდე მისული ბიჭი; 14 წლის გოგონა, რომლის ყოფილი შეყვარებული, სოციალურ ქსელში შექმნილი პროფილით, ავრცელებს მის შიშველ ფოტოებს, რომელთა გადაღებასაც თავად აიძულებდა; 8 წლის ფილიპინელი გოგონა, რომელსაც მეზობელი აიძულებს სექსუალურ კავშირსა და სხვა სექსუალური ხასიათის ქმედებებს და „ონლაინ სტრიმინგი“ უშვებს ამ კადრებს შესაბამისი შინაარსის ვებგვერდის საშუალებით.*

ციფრულ ტექნოლოგიებს ნამდვილად შეუძლია ამგვარი ზიანის წაქეზება თუ წახალისება, მაგრამ გარდა ბავშვებისთვის მიყენებული ზიანის კონკრეტული შემთხვევებისა, მას ძალადობის მასიური ფორმების წაქეზებაც შეუძლია, რაც ზეგავლენას ახდენს ასობით ათასი ბავშვის ცხოვრებასა და მომავალზე. ჩვენი ვალია ზიანის შემცირება და იმ შესაძლებლობათა გაზრდა-განვითარება, რასაც ციფრული ტექნოლოგიები იძლევა.“ – წერს ანგარიშის წინასიტყვაობაში ენტონი ლეიკი.

ჩანაწერები „მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობა 2017“-ის ფარგლებში ჩატარებული ვორქშოფებიდან:

„ჩემმა დამ ვიდეოზარით დაგვირეკა ესპანეთიდან და მთელი ოჯახი გაახარა.“ – ბიჭი, 16 წლის, პერუ.

„მე ტექნოლოგიას სამყაროს შესაცვლელად, უკეთესი გეგმებისთვის, ახლის შესაქმნელად გამოვიყენებ და იმისთვის, რომ ტექნოლოგიების წყალობით განათლება უფრო საინტერესო გახდეს.“ – ბიჭი, 17 წლის, ფიჯი.

„მე ტექნოლოგიას იმისთვის გამოვიყენებ, რომ ადამიანებს ჯანდაცვის საკითხების მოგვარებაში დავეხმარო.“ – გოგონა, 15 წლის, ნიგერია.

„კოდირება YouTube-ით ვისწავლე. უამრავ ვიდეოს ვუყურე კოდირებაზე.“ – გოგონა, 17 წლის, ბანგლადეში.

„თუ კომპიუტერს არ ვიყენებთ, თუ კომპიუტერის ხმარება არ ვიცით, გამოდის, რომ არაფერი არ ვიცით, ჩვენი საკუთარი ცხოვრებისთვის საუკეთესო რამის ჩათვლით.“ – გოგონა, 14 წლის, აღმოსავლეთ ტიმორი.

ანგარიშში ერთი თავი იმის გაანალიზებას ეთმობა, თუ ვინ არის გარიყული და შესაძლებლობების გარეშე დარჩენილი და რას ნიშნავს ინტერნეტის არქონა ციფრულ სამყაროში. მონაცემები გამოაგნებელია: აფრიკაში, ხუთი ახალგაზრდიდან სამს (15-24 წლის) ინტერნეტი არ აქვს. ევროპაში ეს შეფარდებაა 1/25. მაგრამ ციფრული ბარიერები უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მხოლოდ ინტერნეტზე წვდომაა. სამყაროში, სადაც ვებგვერდების 56% ინგლისურენოვანია, უამრავი ბავშვი ვერ პოულობს და ვერ ეცნობა მისთვის გასაგებ ან მის ყოფასთან დაკავშირებულ მასალასა თუ ინფორმაციას. ბევრ მათგანს იმის უნარებიც აკლია და არც ტექნიკური საშუალება აქვს (მაგალითად, პორტატული კომპიუტერი), რომ ინტერნეტით ისარგებლოს. თუ ეს ციფრული ბარიერები არ მოისპობა, არსებული სოციალური და ეკონომიკური გათიშულობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

რა საფრთხეები აქვს ონლაინ ცხოვრებას – ამ თემაზე განხილულია ციფრული სამყაროს ნეგატიური მხარეები, ონლაინ ცხოვრების საფრთხეები და ზიანი, მათ შორის ინტერნეტის ზეგავლენა კერძო ინფორმაციის დაცულობაზე. ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა გაზარდა, ბავშვობის პერიოდში, ზოგიერთი ტრადიციული საფრთხე: ოდესღაც ეს საფრთხეები სკოლის ეზოთი შემოიფარგლებოდა, ახლა კი მოძალადე საკუთარ მსხვერპლს სახლშიც მიჰყვება. ამის გარდა, შეიქმნა ახალი საფრთხეებიც: გაფართოვდა მოძალადეთა ქმედების არეალი, გაიზარდა „შეკვეთაზე მორგებული“, ბავშვებზე სექსუალური ზემოქმედების ამსახველი მასალა, ფრთა გაშალა ბავშვების მონაწილეობით სექსუალური ვიდეოების „ცოცხალი სტრიმინგის“ პრაქტიკამ. ონლაინ სტრიმინგის ერთი მცირეწლოვანი მსხვერპლი ამბობს: *„როცა უცხოელები გვეუბნებიან, გაიხადე, ვიხდით“*. გარდა ამისა, არსებობს საფრთხეები, რომლებიც სრულიად უცნობია ბავშვებისა და მშობლებისთვისაც: ესაა ბავშვების პირადი ინფორმაციისა და ვინაობის დაუცველობა. არცერთი ბავშვი, რომელიც ინტერნეტით სარგებლობს, არ არის ონლაინ საფრთხეებისგან ბოლომდე დაცული, მაგრამ მათ შორის ყველაზე მოწყვლადებს ეს საფრთხეები ყველაზე მეტად ემუქრება. მადაგასკარში 17 წლის გოგონას საკუთარმა მასწავლებელმა 300 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა მოსთხოვა შემდეგ კლასში გადასასვლელად. გოგონამ ფული ვერ იშოვა და დაუკავშირდა კაცს, რომელსაც ინტერნეტით ეკონტაქტებოდა 6 თვის განმავლობაში. *„მან მომიტაცა და ორი თვე სახლში გამომკეტა. გამუდმებით მაუპატიურებდა.“* – ამბობს გოგონა. ის პოლიციასთან არსებულმა კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამსახურმა გაათავისუფლა. ჩაუტარეს მკურნალობა და გაუწიეს ფსიქოლოგიური დახმარება, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, მთავრობის მიერ დაარსებულ მომსახურების ცენტრში. მოძალადე მამაკაციც და მასწავლებელიც დააპატიმრეს. *„ახლა კარგად ვარ. სკოლასაც დავუბრუნდი,* – ამბობს გოგონა, – *ნეტავ რამე მცოდნოდა ამ ყველაფერზე. ჩემმა მშობლებმა არც იცოდნენ, რომ უცხოებს ველაპარაკებოდი ინტერნეტით“*. მშობლებისა და აღმზრდელების უმრავლესობისთვის ამ გოგონას ამბავი ყველაზე საშინელი კოშმარია, რაც შეიძლება დაემართოს ბავშვს, როცა მას ინტერნეტთან აქვს წვდომა. მართალია, ამ გოგონას გამოცდილება ონლაინ საფრთხეების უკიდურესი მაგალითია, მაგრამ ის, ამავე დროს, ადასტურებს ინტერნეტში ბავშვებისთვის არსებული საფრთხეების შესახებ საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას – შეიძლება სრულიად უძლური აღმოჩნდეს ბავშვების დაცვის ტრადიციული მექანიზმები, ის ყველაფერი, რასაც საზოგადოებათა უმრავლესობა წარმოიდგენს და აკეთებს ბავშვების დასაცავად. მშობლების უმრავლესობა მაინც თანხმდება იმაზე, რომ ამგვარი საფრთხეებისაგან ბავშვების დაცვა ადრე უფრო ადვილი იყო. ოდესღაც სახლის კარი, სკოლის ეზო მოძალადეებისთვის ბარიერს წარმოადგენდა. ახლა კი, სოციალური მედიასაშუალებების წყალობით, მოძალადეს შეუძლია ბინაში შეჰყვეს საკუთარ მსხვერპლს. არასოდეს ყოფილა ასეთი ადვილი ყველაზე მოწყვლადი ბავშვების მიზანში ამოღება ბულინგის მოყვარულებისთვის, სექსუალური მოძალადეებისთვის, ადამიანით მოვაჭრეებისა და ბავშვებისთვის სხვა სახის ზიანის მიმყენებელი პირებისთვის.

თანამედროვე მკვლევრები ონლაინ რისკების ვრცელ ჩამონათვალს სამ კატეგორიად ყოფენ: შინაარსობრივ, კონტაქტურ და ქცევით რისკებად.

შინაარსობრივი რისკები: როცა ბავშვისთვის ხელმისაწვდომია არასასურველი და მისი ასაკისთვის შეუფერებელი შინაარსის მასალა. ის შეიძლება შეიცავდეს სექსუალური, პორნოგრაფიული ხასიათისა და ძალადობის შემცველ ვიდეო და ფოტომასალას, არასასურველ რეკლამას, რასისტულ, დისკრიმინაციულ გამონათქვამებსა და სიძულვილის ენის შემცველ ინფორმაციას, ვებგვერდებს, რომლებიც აქეზებს არაჯანსაღ ან საშიშ ქცევას, მაგალითად, საკუთარი სხეულის დაზიანებას, თვითმკვლელობას, ანორექსიას და სხვ.

კონტაქტური საფრთხეები: როცა ბავშვი ჩართულია საეჭვოთა ურთიერთობაში, მაგალითად, ასაკისთვის შეუფერებელი შინაარსის კომუნიკაცია ზრდასრულის მხრიდან, ბავშვის წახალისება სექსუალური მიზნით, ბავშვის რადიკალიზების მცდელობა, მისი ნაქეზება არაჯანსაღი და საშიში ქცევისაკენ და სხვ.

ქცევითი რისკები: როცა ბავშვის ქცევა ხელს უწყობს მისთვის სახიფათო კავშირების დამყარებას. ეს შეიძლება გამოჩნდეს მის ნაწერებში ან გამოიხატოს სხვა ბავშვების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენებაში, რასიზმის წაქეზებაში, სექსუალური შინაარსის ფოტომასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებაში, მათ შორის ისეთი მასალის გავრცელებაში, რომელიც ბავშვმა თავისითაც შეიძლება შექმნას.

„ვიდეოთამაშები, ტელევიზია, კომიქსები, რადიო... გუგლს თუ დავეკითხებით, ვნახავთ, რომ მშობლებიცა და საზოგადოებაც ძალიან ღელავენ იმ ზეგავლენის გამო, რასაც ტექნოლოგიები ახდენს ბავშვების კეთილდღეობაზე, მაგრამ იმაშიც დავრწმუნდებით, რომ ეს შფოთვა ახლა არ დაწყებულა.“ – ნათქვამია ანგარიშში. რადიოს ადანაშაულებდნენ უძილობაში, კომიქსების წიგნებს – ბავშვების კრიმინალური მიდრეკილებებისა და ცუდი ქცევის წახალისებაში, ტელევიზიას – მათ სოციალურ იზოლაციაში. მოგვიანებით, იმავეს ამბობდნენ ვიდეო და ქსელურ თამაშებზეც. მეთექვსმეტე საუკუნეში ზოგი შიშობდა, რომ წერა გულმავიწყობას გამოიწვევდა, რადგან ხალხი საკუთარ მეხსიერებას აღარ დაეყრდნობოდა ინფორმაციის დასამახსოვრებლად. იყო დრო, როცა იმაზეც ღელავდნენ, რომ წიგნები და ბეჭდური პრესა კაცობრიობას იქამდე მიიყვანდა, რასაც დღეს ჭარბ ინფორმაციას ვუწოდებთ.

იღებენ თუ არა ბავშვები სარგებელს ციფრული გამოცდილებიდან, მათი ცხოვრების პირობებზეცაა დამოკიდებული. ბავშვებს, რომლებსაც მტკიცე ოჯახური ურთიერთობები და კარგი მეგობრული კავშირები აქვთ, ინტერნეტი კიდევ უფრო

ბავშვთა უფლებები

ეხმარება ამ კავშირების გაძლიერებაში და, შესაბამისად, ციფრული გამოცდილება ბავშვის კეთილდღეობას ემსახურება. ხოლო მარტოობაში, სტრესში, ოჯახურ პრობლემებში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობა ინტერნეტმა შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს. თუმცა, პირიქითაც ხდება: ბავშვებმა, რომლებიც ძირითადად ინტერნეტის გარეშე ცხოვრობენ, შეიძლება ხანდახან ახალი მეგობრები გაიჩინონ და ისეთი დახმარება მიიღონ ქსელის საშუალებით, რომელსაც სხვაგვარად ვერაფრით მიიღებდნენ.

ციფრული პრიორიტეტები: კარგის ხელშეწყობა, ზიანის შემცირება

რისკების და საფრთხეების გარდა, ეჭვი არავის ეპარება, რომ ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო მეტი ბავშვის მომავალზე მოახდენს ზეგავლენას. ბავშვები უკვე შეადგენენ მსოფლიოს ინტერნეტით მოსარგებლე მოსახლეობის დიდ პროცენტს და ეს რიცხვი, ახლო მომავალში, კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ინტერნეტი ისეთ რეგიონებშიც აღწევს, სადაც მოსახლეობაში ბავშვებისა და მოზარდების წილი უსწრაფესად იზრდება. მეტი კომპიუტერი და ციფრული პლატფორმა გახდება ხელმისაწვდომი მთელ მსოფლიოში. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზეგავლენა ყოველთვის აისახება ბავშვების ცხოვრებაზე – სასიკეთოდაც და საზიანოდაც.

ანგარიშში მოცემულ სხვა ფაქტებს შორის აღსანიშნავია, რომ, მსოფლიო მასშტაბით, ახალგაზრდების 71 პროცენტი ჩართულია ინტერნეტში, მაშინ როცა მსოფლიოს მთლიანი მოსახლეობის 48 პროცენტი სარგებლობს ინტერნეტით; აფრიკელი ახალგაზრდები ყველაზე ნაკლებად არიან დაკავშირებული ინტერნეტთან, 5-დან 3 ახალგაზრდა არ სარგებლობს ინტერნეტით, ევროპაში ეს მაჩვენებელი 25-დან 1-ს შეადგენს; არსებული ინტერნეტ გვერდების, დაახლოებით, 56 პროცენტი ინგლისურ ენაზეა და ბევრ ბავშვს არ ესმის ინფორმაციის შინაარსი ან ეს ინფორმაცია შეუსაბამოა მათი კულტურული გარემოსთვის; ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შინაარსის შემცველი 10 ინტერნეტ გვერდიდან 9-ზე მეტი განთავსებულია 5 ქვეყანაში – კანადა, საფრანგეთი, ჰოლანდია, რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები.

„ციფრულ სამყაროში ბავშვების ხმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და კიდევ უფრო ხმამაღლა ისმის, ვიდრე ოდესმე. ეს ხომ ის სამყაროა, რომელიც არა მხოლოდ წილად ხვდა მათ, არამედ რომლის განვითარებაშიც ისინი თავადაც მონაწილეობენ. საჭიროა, დავიცვათ ბავშვები ციფრული ტექნოლოგიების საშიში ზეგავლენისაგან და, ამავე დროს, ხელი შევუწყოთ მათ, მაქსიმალურად ისარგებლონ ამ ტექნოლოგიების სიკეთეებით. მხოლოდ ასე შევძლებთ, უკეთესობისკენ შევცვალოთ ვითარება“ – ამბობს გაეროს ბავშვთა ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

თვალსაზრისი

ჩვენ წინ საქართველოს მომავალია

ბოლო დღეებში ჩვენს ქვეყანაში იმდენი და ისეთი საშინელებები დატრიალდა, რომელ ერთზე ვიფიქროთ და ვიტიროთ, ვეღარ გაგვიგია. ერთმანეთი ვერც ერთმა ვერ გადაფარა, მაგრამ ის, რაც პირველ დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე დატრიალდა, შემაძრწუნებელია. ორი მოზარდი თანატოლებმა სადისტურად გაიმეტეს საკმაოდ ბევრი თანატოლის გარემოცვაში. განურჩევლად ყველასთვის და, პირველ რიგში, ჩვენი განათლების მესვეურთათვის, ეს ძალზე დამაფიქრებელია. რა მოხდა, ამას დაწვრილებით, ალბათ, გამოძიება გაარკვევს. თუმცა მომხდარი ღრმად ჩაფიქრებად ღირს, ვინაიდან საქმე ჩვენს ხვალინდელ დღეს, ჩვენს მომავალს ეხება.

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“, – ამბობს ძველი ქართული ანდაზა. კარგია, გზა თუ ახლა მაინც გამოჩნდება, მაგრამ ეს ის გზაა, რომელიც ასე იოლად არ ჩნდება, სანამ ყველა – ერი და ბერი, განსაკუთრებით ქვეყნისა და, პირველ რიგში, ჩვენი განათლების მესვეურები ღრმად არ გააანალიზებენ „ურმის გადაბრუნების“ მიზეზებს და ყველა ერთად არ დავადგებით სწორ გზას. სიმპტომატურია, რომ, მეორე დღეს, მსგავსი ტრაგედია წყალტუბოში დატრიალდა.

არ შეიძლება, არ დაეთანხმო ფრანგი განმანათლებლის, მწერლისა და ფილოსოფოსის, მიშელ დე მონტენის აზრს, რომ „საშიშროებათა უმრავლესობა სწორედ მაშინ გვატყდება თავს, როცა მისგან გაუაზრებლად ვცდილობთ გაქცევას“. ახლა ის დროა, მომხდარს კი არ გავექცეთ, არამედ სწორი დიაგნოზები დავსვათ და ჩვენ ხელთ არსებული ყველა საშუალებით ვუმკურნალოთ. პირველ რიგში, ალბათ, არარიტორიკულად უნდა დავსვათ მთავარი კითხვა: რატომ? და მერე, აქედან გამომდინარე, უამრავ ქვეკითხვას ვუპასუხოთ და დასკვნებიც გავაკეთოთ.

უკვე თორმეტი წელია, სკოლის დირექტორად ვმუშაობ და ამ სფეროში გარკვეული გამოცდილებაც დამიგროვდა, გარკვეული შეხედულებებიც ჩამომიყალიბდა; განათლების სისტემაში არაერთი რეფორმის დაწყება-დამთავრების, არაერთი კონცეფციის დანერგვისა და უარყოფის, არაერთი სიახლის შემოტანის მცდელობის მომსწრე ვარ. თავისთავად, სფეროა ისეთი, სულ მუდამ ძიებაშია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ შეხედულებათა სწრაფი ცვლა ჭეშმარიტებამდე, ალბათ, სასურველ დროში ვერ მიგვიყვანს.

რატომ? ეს კითხვა ყველას თავში გვიტრიალებს, რატომ ასეთი სადიზმი, დაუნდობლობა, გაუტანლობა, გულგრილობა, უმოქმედობა, უპრინციპობა, უკანონობა, უმეცრება და ა.შ. შეიძლება კიდევ უამრავი „უ“ მოგვადგეს ენაზე, რომელმაც ამ უბედურებამდე მიგვიყვანა და მაინც სად არის დანაშაულის სათავე, საიდან მოვიდა ის ორი არასრულწლოვანი დამნაშავე, რომლებიც გუშინ ჩვენ გვერდით მყოფი ჩვეულებრივი მოსწავლეები იყვნენ. სხვა სამყაროდან ხომ არ მოსულან? რამ აქცია ისინი ცივსისხლიან მკვლელებად და ათეულობით მოზარდი მკვლელობის თანამონაწილედ თუ გულგრილ მაყურებლად? ნუთუ მარტო ისინი არიან დამნაშავენი? საერთოდ, რა საზოგადოებას ვაშენებთ, საითკენ მივდივართ?

ნაადრევი ხომ არ იყო ზოგიერთი კანონის თუ კოდექსის მუხლების ზედმეტად გაჰუმანურება, თუნდაც მარიხუანას მოხმარებასთან დაკავშირებით, რომლის ლეგალიზებასაც აპირებენ? და არა მარტო მარიხუანას, საერთოდ, ყველანაირი ნარკოტიკის მოხმარების დეკრიმინალიზაციაც იგეგმება თურმე. სადამდე მიიყვანს ჩვენს ახალგაზრდობას მარიხუანას ლეგალიზაცია, რატომ არ არის ერის მსჯელობის საგანი, რამდენიმე სატელევიზო გადაცემა და საგაზეთო სტატია ხომ არ არის ერის ხმა?! თუნდაც იარაღის შეძენა, მით უმეტეს, დანის, რაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეიძლება. კანონით იკრძალება სიგარეტის, ალკოჰოლური სასმელების მოზარდებზე გაყიდვა, ვინ ასრულებს ამას ან ვინ აკონტროლებს?! კარგია ჰუმანური კანონი, ჰუმანური პოლიცია, მაგრამ ერის ტრაგედიაა სიცოცხლეს უდროოდ გამოსალმებული არაერთი ახალგაზრდა, არაერთი გაუბედურებული ოჯახი, ჩამქრალი იმედი და რწმენა.

დღეს მედიასაშუალებები თავისუფალი არიან თავიანთ სარედაქციო პოლიტიკაში, მაგრამ თავისუფლება, უპირველესად, ზოგადსაკაცობრიო იდეალების დაცვას უნდა ემსახურებოდეს. რად მინდა ისეთი თავისუფლება, რომელიც უზნეობას, უღირსობას, ძალადობას და გარყვნილებას დაამკვიდრებს?! ერის უპირველეს სულიერ ღირებულებებს შებღალავს, ეროვნულ ტრადიციებს შელახავს, იმას გადათელავს, რითაც ვამყობთ, რითაც გამორჩეული ვართ სხვა ერების კულტურებისგან.

რას ღებულობს ჩვენი ახალგაზრდობა ჩვენი მედიასაშუალებების პროდუქტიდან? მომეტებულად იმას, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და რატომღა გვიკვირს, რომ, რა საზრდოსაც ვაძლევთ, შესაბამის ნაყოფსაც ვიმკით? კარგი ქართული სატელევიზიო ფილმები იქმნება ბოლო ხანებში, თანამედროვე, მძაფრი სიუჟეტებით, მაგრამ იქ ხშირად ისეთი ბილწსიტყვაობაა და ისეთი სცენებია, მრცხვენია ოჯახის წევრებთან ერთად ყურება.

დგება ხოლმე მომენტები ქვეყნის ცხოვრებაში, როცა სახელმწიფოს უფრო მეტის აღება უწევს თავის თავზე, ვიდრე აქვს, რათა მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალოს, თორემ შემდეგ თვითონ სახელმწიფოა შუაში. ცნობილი გერმანელი მოაზროვნე ვილჰემ შვებელი ამბობს: „სახელმწიფოს გაცილებით უფრო დიდი დანაშაულის ჩადენა შეუძლია, ვიდრე ცალკე აღებულ მის რომელიმე მოქალაქეს“.

ევროპა-ამერიკის სატელევიზო გადაცემებში, რამდენადაც ვიცი, ყველა არხს თავისი მომხმარებელი ჰყავს, მაგრამ იქ საკმაოდაა ახალგაზრდული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემეცნებითი, მხატვრულ-ესთეტიკური და სხვა არხები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ ძალადობასთან, გარყვნილებასთან, უხამსობასთან და ა.შ. მათ მრავალმილიონობით მაყურებელი ჰყავთ. ჩვენთან რატომ არის ასეთი გადაცემები ცოტა და რატომ არ არის ასეთი არხები? არ გვჭირდება? არ ეყოლებათ მაყურებელი თუ ყველაფერს კომერციული თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ?

მე ჩემს კოლექტივშიც არაერთხელ მითქვამს, სკოლაში წესრიგი და დისციპლინა, შინაგანაწესის განუხრელი დაცვა ის ბაზისია, რომელზეც შენდება მაღალხარისხოვანი სწავლა-აღზრდის პროცესი. ქაოსიდან რა წარმატებას უნდა ელოდე? დისციპლინა არ ნიშნავს რუტინას, არც თავისუფლების და დემოკრატიის შეკვეცას ნიშნავს. როცა ყველა თავის საქმეს აკეთებს პუნქტუალურად და კორექტულად, წარმატებაზეც შეიძლება ფიქრი.

ოჯახის როლზე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. იქ, სადაც ოჯახი თავის სიმაღლეზეა, სისხლხორცეულადაა დაინტერესებული შვილების სწავლა-აღზრდით, მჭიდრო კავშირშია სკოლასთან, შვილებთან დაკავშირებული პრობლემები იშვიათია. დღეს ჩვენი ოჯახების დიდ ნაწილს საარსებო საშუალებებზე უფრო მეტად უწევთ ფიქრი, ვიდრე შვილების აღზრდაზე. არიან ისეთი ოჯახებიც, რომელთაც არც მაინცდამაინც უჭირთ, მაგრამ შვილების სწავლა-აღზრდის პრობლემებით თავს ნაკლებად იწუხებენ, სხვა ყოფითი ინტერესები უფრო წინა რიგზე აქვთ წამოწეული. ყველა ოჯახთან, თითოეულ მშობელთან ინდივიდუალური მუშაობაა საჭირო. მათ გარეშე წარმატებებზე საუბარი ზედმეტია.

განათლება და სკოლა ყველა დროში და ყველა სახელმწიფოში დეკლარირებულად პრივილეგირებული სფეროა. სანამ რეალურადაც ასე არ იქნება, სანამ ყველა, დიდი და პატარა, არ მივა იმ ჭეშმარიტ დასკვნამდე, რომ აქ იჭედება ჩვენი მომავალი, სკოლაში ყალიბდება ჩვენი ხვალინდელი საზოგადოების სახე, მანამ აღმოვჩნდებით იმ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში, რომელშიც დღეს ვართ.

როცა მოზარდი დანაშაულს ჩაიდენს, მაშინვე სვამენ კითხვას – სად იყო სკოლა, როგორ ზრდიან და რას ასწავლიან სკოლაში? ეს კითხვა ლეგიტიმური და სამართლიანია. თუმცა, ბევრმა არ იცის, რისი უფლება აქვს დღეს რეალურად სკოლასა და მასწავლებელს. მოვალეობები ძალიან დიდია – პირველ რიგში, პედაგოგიური, აღმზრდელობითი, ზნეობრივი, სამართლებრივი, მორალური და ა.შ. მაგრამ რითაა „შეიარაღებული“ სკოლა და მასწავლებელი? მხოლოდ საკუთარი განათლებით, ჰუმანურობთ, დამრიგებლობით, კორექტულობით, ტაქტით, პირადი მაგალითითა და შინაგანაწესით, რომელსაც, ნებით თუ უნებლიეთ, ხშირად ვერ ვიცავთ. არის კი სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტი საზოგადოებისგან იმის ადეკვატურად აღიარებული, რა როლსაც ვაკისრებთ? გამოდის, რომ მოსწავლის უფლებები თითქმის განუზომელია. ამ დროს უზენაესი – სწავლის უფლება, რომელიც ამავე დროს მოვალეობაცაა, ხშირად მეორე პლანზეა.

დღეს სკოლაში, სწავლების მესამე საფეხურზე, სადაც სწავლა სავალდებულო აღარაა, მაინც თითქმის ყველა აგრძელებს სწავლას, სურს თუ არა მეცნიერების საფუძვლების დაუფლება მაშინ, როცა ამდენი ახალგახსნილი პროფესიული სასწავლებელი დაუტვირთავია, სადაც უამრავი კარგი და შემოსავლიანი პროფესიის დაუფლება შეიძლება; თუმცა, ხშირად ვერც სკოლა ელევა მოსწავლეს, ვინაიდან სასკოლო ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყარო ხომ მოსწავლეზე გაცემული ვაუჩერია, რაც მეტი მოსწავლე ჰყავს სკოლას მით მეტად მდიდარია და საშუალებებში ხელგაშლილი, მაგრამ რა ჰქნან რეგიონებში იმ სკოლებმა, რომელთა კონტინგენტიც პერმანენტულად მცირდება, მოსახლეობის მიგრაციის თუ სხვა მიზეზების გამო? ალბათ სკოლების დაფინანსების საკითხიც გადასახედია.

ისინი, ვინც დღეს პროფესიას უნდა ეუფლებოდნენ, სკოლაში უქმად დადიან (ან დადიან კი?). და სად ხდება ბულინგის, დანაშაულის შემცველი ქმედებების უმრავლესობა? სწავლების მესამე საფეხურზე, მოზრდილ გოგო-ბიჭებში, რასაც სკოლა ძნელად უმკლავდება. აი, პრობლემები, რომლებიც გადაუდებლად მისახედია. არასდროს ვყოფილვარ დესპოტიზმის მომხრე, მაგრამ გარკვეული სიმკაცრე, წესრიგისა და კანონიერების განსახორციელებლად, საჭიროდ მიმაჩნია. კარგ მასწავლებელს შესაბამისი პირობები სჭირდება, მისი ფიქრი და გარჯა შეგირდის გარშემო უნდა ტრიალებდეს და არა უამრავ წვრილმან ყოფითზე. რა თქმა უნდა, თავის მხრივ, მასწავლებელიც ცოდნასა და გამოცდილებას სისტემატურად უნდა იმაღლებდეს და მისხალ-მისხალ ბოლომდე ახმარდეს მოსწავლის ინტერესებს, მის ჩამოყალიბებას მომავალ მოქალაქედ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ნამდვილი პედაგოგი არც არის, სხვაგან უნდა იპოვოს თავისი ადგილი.

მართალია, პედაგოგის შრომის ანაზღაურება საგრძნობლად გაიზარდა და საშუალო ხელფასს მიუახლოვდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არასაკმარისია. მით უმეტეს, სკოლაში ჯერ კიდევ გვყავს თანამშრომლები, ადმინისტრაციის წევრები, რომლებიც არანაკლებ სამუშაოს ასრულებენ, ვიდრე სხვა სფეროში დასაქმებული მუშაკები, მაგრამ მათი ხელფასი 200-300 ლარის ფარგლებშია. სერტიფიცირებული, განაკვეთიანი მასწავლებლის ხელფასი კი საკმაოდ აღემატება უმეტესი სკოლის დირექტორის ხელფასს, რომელიც სკოლაში ყველაფერზეა პასუხისმგებელი.

ძნელია, ერთ საგაზეთო წერილში სრულად გადმოსცე შენი სათქმელი და განწყობა, მაგრამ არის მომენტები, როცა გაჩუმებაც დანაშაულის ტოლფასია. ახლაა სწორედ ის დრო, როცა ხმა უნდა ავიმაღლოთ.

მინდა, ჩემი კოლექტივის სახელით, სამძიმარი გამოვუცხადო დაღუპულთა ოჯახებს და თბილისის №51 საჯარო სკოლის კოლექტივს. გარკვეულ პერიოდში, ვმეგობრობდით ამ სკოლასთან. ჩვენი სკოლის დელეგაცია, ჩემი ხელმძღვანელობით, მათთან გაცნობისა და დამეგობრების მიზნით იმყოფებოდა. ამის ამსახველი ფოტოსტენდიც გვაქვს სკოლაში. წარმოდგენილი და გათავისებული გვაქვს როგორც ოჯახების, ისე პედაგოგიური კოლექტივის ტკივილი და მწუხარება.

ბოლოს ერთ ინდურ სიბრძნეს დავესესხებოდი: „გეშინოდეს საშიშროების, რომელიც ჯერ არ დამდგარა, მაგრამ როცა მოვა, მასთან ბრძოლისას აღარ უნდა შეგეშინდეს“. პრობლემები სახეზეა. რეალური და საგნობრივი მოქმედებაა საჭირო. აწ გარდაცვლილი პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის არ იყოს, „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!“ ჩვენ წინ თითოეული ქართველი მოზარდია, ანუ ჩვენ წინ საქართველოს მომავალია!

ვალერი გოგნაძე
ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

საუბრები ლიტერატურაზე

საერო პირთა სახეები ქართულ ჰაგიოგრაფიაში

თუ ძველ, ქართულ ქრისტიანულ მწერლობას თვალს გადავავლებთ, ზღვის ფსკერიდან ამოზიდული მთებივით თვალწინ წარმოგვიდგებიან ქრისტესათვის წამებულთა ღვთიური სხივით გაბრწყინებული სახეები. და რა ძნელია, საოცრად ძნელი, ბუმბერაზ მთებში პატარა ბორცვების პოვნა და მიგნება. იმ ბორცვებისა, რომლებიც თითქოს არაფერია ცად ატყორცნილი მთების გვერდით, მაგრამ შემოქმედს მათი არსებობაც აუცილებლობად მიუჩნევია. ალბათ მიმიხვდით – საუბარი საერო პირებს შეეხება. ისინი უმდიდრეს ქართულ ჰაგიოგრაფიაში სწორედ პატარა ბორცვებად წარმომიდგენია და, ისევე როგორც ძნელია უმნიშვნელო ბორცვების როლის განსაზღვრა უკიდეგანო სამყაროში, ასევე რთულია საერო პირთა როლის მიგნება ქრისტიანულ ლიტერატურაში. და აი, ეს აღმოჩენა, ღვთის მადლით, ჩვენს უდიდეს აგიოგრაფს გიორგი მერჩულეს ხვდა წილად – *„ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი და ესრეთ შევზავნეთ ურთიერთას“* – თუ ვინ როგორ შეასრულა საერო პირთაგან ეს როლი, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. საერო პირების სახეების სრული პორტრეტის ჩამოსაყალიბებლად სასულიერო მწერლობა მეტად ძუნწ ცნობებს იძლევა. თუმცაღა, მათი პიროვნული არსის გახსნაში, ურომლისოდაც შეუძლებელია სულ უმნიშვნელო პერსონაჟის მხატვრული სახის გაანალიზებაც კი, ვფიქრობ მცირე მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ ვინ როგორ შეასრულა როლი, რომელიც მისთვის, როგორც საერო პირისთვის, იყო განკუთვნილი. დავიწყოთ წამებათა ციკლიდან, როდესაც გიორგი მერჩულის მიგნება ჯერ კიდევ მიუგნებელი იყო.

„შუშანიკის წამებაში“ ნათლად გამოკვეთილი სახეები საერო პირებისა, რომლებიც ორგანულ კავშირში არიან თხზულების სიუჟეტის განვითარებასთან, ვარსქენი და ჯოჯიკია. იაკობ ხუცესი არატენდენციური მწერალია; მიუხედავ იმისა, რომ ვარსქენს საშინელი ეპითეტებით ამკობს – *„სამგზის საწყალობელი“*, *„მგელი იგი“*, *„უბადრუკი“* და სხვა, მართლად თხრობილი ამბის წყალობით ვარსქენის სახეს სულ მთლად მუქ ფერებში ვერ წარმოიდგენს მკითხველი. კაცი, რომელმაც უარყო ქრისტიანობა, რომელსაც უნდა საკუთარი საპიტიახშო ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოყოს, ყოველ შემთხვევაში, სხვა მიზეზი მაზდეანობის მიღებისა ნაწარმოებიდან არ ჩანს და ამას აკეთებს შეგნებულად (ე.ი. გათვითცნობიერებული აქვს ის დიდი დანაშაული, რომელსაც სამშობლოს წინაშე სჩადის) თუ შეუგნებლად, ორივე შემთხვევაში, ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, შესაბრალებელი და შესაწყნარებელია. შუშანიკს შებრალებით კი ებრალება, მაგრამ შეწყნარებით არ იწყნარებს.

ვარსქენი შუშანიკის საბოლოოდ სასახლეში დასაბრუნებლად, ქრისტიანობის უარყოფაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია – მთელ თხზულებაში ამის შესახებ ვარსქენის მიერ ნათქვამ ერთ სიტყვასაც კი ვერ ვნახავთ, ვერაფერს ახერხებს. აქედან გამომდინარე, შუშანიკი ვარსქენზე ბევრად უფრო მაღლა დგას სულიერად. ამასაც რომ თავი გავანებოთ ვარსქენი შესაბრალებელია, როგორც მამაკაცი, რომელსაც მეუღლე ვერ დაუმორჩილებია. თავის მხრივ, შუშანიკმა ბრწყინვალედ იცის ქმრის ხასიათი და იყენებს ამ ცოდნას საკუთარი მიზნის მისაღწევად.

მიუხედავად მაზდეანობის მიღებისა, ვარსქენს სურს, კვლავ ძველებური ურთიერთობა ჰქონდეს ყველასთან – როგორც საერო, ასევე სასულიერო პირებთან, ე.ი. მისი საპიტიახშოს მკვიდრთათვის ქრისტიანი თუ მაზდეანი ვარსქენი, მაინც ვარსქენი უნდა ყოფილიყო პირველყოვლისა და შემდეგ რომელიმე სარწმუნოების მიმდევარი, მაგრამ ვერც ამას აღწევს შუშანიკის გადამკიდე.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ვარსქენი დადებითი გმირი: პირველყოვლისა, თუნდაც იმიტომ, რომ იაკობ ხუცესი, პირადად მომსწრე და მხილველი შუშანიკის გვემისა, მთლად უსაფუძვლოდ ზემოთ მოყვანილი ეპითეტებით არ შეამკობდა მას. შემდეგ, ვარსქენმა კარგად იცის – დამარცხებულია შუშანიკის წინაშე სულიერად, მაგრამ ხორციელი განადგურება ან გადარჩენა ამ ქალისა, მის ხელშია, და ამ უკანასკნელ საშუალებას მშვენივრად იყენებს; შურისძიების გრძნობით დაბრმავებული ვარსქენი ვეღარ ხვდება, თუ როგორ ასხამს მოწინააღმდეგე ცოლის წისქვილზე წყალს. დიახ, შუშანიკის სურვილი ის იყო, რომ წმინდანობის გზაზე შემდგარს საშინლად ეგვემა სხეული, რის შედეგადაც განიწმინდებოდა ცოდვათაგან – *„სისხლი ესე განმწმენდელ არს ცოდვათა ჩემთაგან“* – განწმენდილი და ამქვეყნიური ამაოებისაგან ბორკილებაყრილი სული სამუდამო სასუფეველს ჰპოვებდა ზეცაში. ხოლო, რაც შეეხება ვარსქენს, იგი არ იყო ბუნებით ქრისტიანი, ამიტომაც შურისძიების გრძნობამ ღრმად შეძლო ფესვის გადგმა მის არსში და, შესაბამისად, მისი სული საბოლოო მარცხისაგან ვეღარ დაიფარა განგებამ.

იაკობ ხუცესი (და საერთოდ აგიოგრაფი ავტორები) პერსონაჟის პიროვნულ არსს მათ ქმედებებში ხსნის. ახლა იმ როლის შესახებ, რომელიც ვარსქენს უნდა შეესრულებინა ქვეყნის, ხალხისა და ქრისტიანული სამყაროს წინაშე – *„არცა ჭირი ეხილა, არცა მახვილი, არცა პყრობილებაი ქრისტეისთვის“*. იაკობ ხუცესის ამ სიტყვების შემდეგ კომენტარი ვარსქენის მიერ *„ხორციელი კეთილის“* გაღების შესახებ ზედმეტია.

ჯოჯიკი, ძმასთან შედარებით, მეტად ფრთხილი პიროვნებაა. მართალია, ჯოჯიკი ეხვეწება შუშანიკს დაბრუნდეს სასახლეში, უზომოდ შეურაცხყოფილი ცოლის პატრონი, კიდევ დედოფლის დასაცავად გაიღებს ხელს, ვარსქენს სთხოვს, რომ ბორკილები ახსნას შუშანიკს, მაგრამ ყველაფერი ეს არ სცილდება ვიწრო, ოჯახური ურთიერთობის ფარგლებს. ჯოჯიკი მხოლოდ მაშინ ერევა ძმისა და რძლის ბრძოლაში, როცა გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდება, ამ კაცის ქმედება თითქოს გაორებულია, რადგან, ერთი მხრივ, სურს დაიცვას თანშეზრდილი დედოფალი, ხოლო მეორე მხრივ, ერიდება ძმის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლას. ეს ჯოჯიკს კარგად აქვს გათვითცნობიერებული და ალბათ სწორედ ამ პასიური ქმედების შენდობას სთხოვს შუშანიკს. რაც შეეხება მის ღვაწლს ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე, იაკობ ხუცესი ამის შესახებ არავითარ ცნობას არ გვაწვდის.

კიდევ ერთი საერო პირი, რომელიც ნაწარმოებში იხსენიება, მაგრამ არ არის მოქმედი პერსონაჟი, გახლავთ ვარსქენისა და ჯოჯიკის მამა – არშუშა პიტიახში. იგი სომხეთისა და ალბანეთის დიდებულებთან ერთად, დაახლოებით, 450 წელს სპარსეთის შაჰის – იეზდიგერდ II-ის – კარზე გაიწვიეს, სადაც იძულებით (ქვეყანა აოხრებისაგან რომ ეხსნა) მაზდეანობა მიიღო და ერთხანს შაჰმა მძევლადაც კი დაიტოვა. მიუხედავად ამისა, შუშანიკი მას ეკლესიათა აღმშენებლად და ჭეშმარიტი ღმერთის ამღიარებლად მოიხსენიებს: *„მამამან შენმან აღჰმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა.მან ღმერთი ცათაი და ქუეყანისაი აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყვანის-ეც...“* ამდენად, ნათლად იკვეთება თუ რაოდენ დიდი განსხვავებაა ჭეშმარიტების საკუთარი ნებით უარმყოფელი ადამიანის საქმეებსა და იძულებით უარმყოფელი ადამიანის საქმეებს შორის.

იოანე საბანისძის თხზულებაში „მარტვილობაი ჰაბოისი“ საერო პირთაგან სულ ორი პერსონაჟია (თუ არ ჩავთვლით ხაზართა მეფეს), ერთი – ქართლის ერისთავი ნერსე, ხოლო მეორე – აფხაზეთის მეფე ლეონ პირველი. აფხაზეთის მეფეს ავტორი მხოლოდ მთავრად იხსენიებს, მაგრამ ნაწარმოების დაწერის თარიღითა და ბროსეს მიერ აფხაზთა მეფეების მეფობის თარიღების გამოანგარიშებით, აფხაზეთის ეს მთავარი **ლეონ პირველი** უნდა იყოს.

იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებით“ ქართულ ჰაგიოგრაფიაში ახალი ერა იწყება. ეს თხზულება დასაწყისია იმ შემოქმედებითი მწვერვალისა, რომელიც X-XI საუკუნეებში აღიმართა ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში. მართალია, ნაწარმოები წამებათა ჟანრს განეკუთვნება, მაგრამ (თუ გადაჭარბებული არ იქნება), იგი რადიკალურად განსხვავდება ამ ჟანრისაგან, თხზულებაში შეიმჩნევა ჩანასახები ცხოვრებათა ციკლისა და, რაც ყველაზე მთავარია, ივანე ჯავახიშვილის აზრით, იგი პირველი ძეგლია, სადაც ნათლად იკვეთება „ეროვნულ-საეკლესიო მიმართულება“. სწორედ ამ საძირკველზე აშენდა ის უწმინდესი და უძლიერესი ტაძარი, რომელსაც ქართული ჰაგიოგრაფია ჰქვია.

იოანე საბანისძის თხზულებიდან მოყოლებული აშკარა ცვლილება შეიმჩნევა საერო პირების სახეების ხატვაშიც. ზემოთ საუბარი მქონდა საერო პირების როლზე ქრისტიანულ სამყაროში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იაკობ ხუცესის გარდა ამ საკითხს არც ერთი ჰაგიოგრაფი ავტორი არ შეხებია. იაკობმა ღვთის მიერ მინიჭებული უდიდესი მწერლური ინტუიციით იგრძნო ის, რაც, ასე ვთქვათ, ფორმულის სახით ჩამოგვიყალიბა შემდეგ გიორგი მერჩულემ. საერო პირების როლზე არც იოანე საბანისძე არ საუბრობს, მაგრამ ამბავს მოგვითხრობს ისე, რომ შესაძლებელია გარკვევა იმისა, თუ როგორ იღვწოდა ნერსე ერისთავი და აფხაზთა მთავარი ქრისტიანობისა და ერისათვის. ეს ხომ ზუსტად ის პერიოდია, როცა ქართველთა შეგნებაში შენივთებას იწყებს ეროვნული და სარწმუნოებრივი მრწამსი, რომელიც „ეროვნულ-საეკლესიო ნიადაგზე“ გაღვივდა.

ისტორიული ვითარების მიხედვით, VII საუკუნეში, ქართლში მეფობა გაუქმებულია. ქვეყანას მართავს ერისმთავარი. ნერსე (*„ძეი ადარნერსე კურაპალატისა და ერისმთავრისაი“*), რომელსაც სარკინოზთა ამირა მუმნი აბდალა შემოსწყრა, თავისთან იხმო და სამი წელი *„პატიმარ-ჰყო“*. მუმნი აბდალას ძემ მაჰდიმ გაათავისუფლა ნერსე, მაგრამ *„იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისხებაი ხელმწიფეთა მათ სარკინოზთაი“*. ამ ცნობების მიხედვით, ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნერსე ერისთავი მარტოოდენ არაბების ნება-სურვილის აღმსრულებელი და მათი ყურმოჭრილი ყმა არ იქნებოდა. ჩანს იგი შეძლებისდაგვარად მოქმედებდა არაბების წინააღმდეგ. აბოს გაქრისტიანებაშიც მცირე წვლილი არ უნდა მიუძღვოდეს ნერსე ერისთავს. იგი თავადაც ღრმადმორწმუნე და ჭეშმარიტი ქრისტიანი იქნებოდა, რამეთუ *„მხიარულ იქმნა ნერსე“*, რაჟამს შეიტყო – დისწულის, სტეფანოზის ერისმთავრად დასმა. შესაძლოა სტეფანოზის, ისე როგორც გრიგოლ ხანძთელის აღზრდაში, ნერსეს გარკვეული როლი ჰქონდა ნათამაშები. ამ აზრს საფუძვლად უდევს სტეფანოზის ქმედება – გავიხსენოთ, როგორ გაათავისუფლებინებს ამირას პატიმრობიდან აბოს.

ნერსესათვის მთავარი იყო არა ქართლის განმგებლობა, არამედ ქვეყნის მიერ ძალის მოკრება და ნიადაგის მომზადება არაბთა ბატონობის უღლის გადასაგდებად. ნერსეს სწორედ ამიტომაც უხარია თავისი დისწულის გაერისმთავრება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ *„უფლებაი იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან“*.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნერსე ერისთავის პიროვნება იკვეთება, როგორც ღრმადმორწმუნე, ჭეშმარიტი ქრისტიანი, რომელსაც ბოლომდე ჰქონდა გათვითცნობიერებული, შეგნებული და ჩამოყალიბებული სარწმუნოებისა და მამულისათვის საჭირო ქმედება შესაბამის დროსა და სიტუაციაში.

„წამებათა“ ციკლში მოხსენიებულ საერო პირთა შესახებ გადმოცემული ცნობები მრავალფეროვნებით ხასიათდება. ეს მრავალფეროვნება თავისთავად წარმოგვიდგენს თავლწინ ძიების გზას, თუ რა ცნობის გადმოცემა იყო საჭირო საერო პერსონაჟის ცხოვრებიდან, მისი პორტრეტის მეტ-ნაკლებად წარმოსახვისა და პიროვნული არსის გახსნისათვის.

„ცხოვრებათა“ ციკლში კი, ერთი და იმავე ცნობებს ვხვდებით. სხვა მრავალ, რადიკალურ ცვლილებებთან ერთად, რაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებით შემოიტანა გიორგი მერჩულემ ქართულ ჰაგიოგრაფიაში, არის საერო პირთა ხატვის ახლებური მეთოდიც, რომლითაც შემდგომ მთელი რიგი დიდი ჰაგიოგრაფი ავტორები სარგებლობდნენ. ამ უდიდესი გარდატეხის მოხდენა კი, ღვთის მადლით, მხოლოდ ისეთ ბუმბერაზ შემოქმედს ხელეწიფებოდა, რომლის სიტყვასაც გრიგოლ რობაქიძის ხატოვანი თქმით – *„აქვს ქალწულებრივი დარცხვენა და ამავე დროს მორკინალის შემართება“*.

მორკინალნი გახლდნენ ნერსე ერისთავი, აშოტ I, დიდი კურაპალატი, მისი ძენი – ადარნერსე, გუარამი და ბაგრატი, გაბრიელ დაფანჩული, აფხაზეთის მეფეები – ლეონ I, დემეტრე II, (ლეონ I-ის ძმის, ლეონ II-ის შვილი).

აშოტ კურაპალატით იწყება ბაგრატიონთა დინასტიის მეფობა საქართველოში. იგი თავდაპირველად ქართლის მთავარი გახლდათ. არაბთა ბატონობის გაძლიერებასთან ერთად, აშოტი იძულებული ხდება გადაინაცვლოს სამხრეთ საქართველოში, (ბიზანტიის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე), კერძოდ, შავშეთ-კლარჯეთში. აქ იგი აღადგენს ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებულ და მურვან ყრუს მიერ განადგურებულ არტანუჯის ციხეს. გიორგი მერჩულე აშოტ კურაპალატს, პირველ ბაგრატუნიანსა და წმინდანს ამ დინასტიიდან, შემდეგნაირად დაალოცვინებს გრიგოლ ხანძთელს – *„არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე!“* – წმინდა გრიგოლის ამ ლოცვა-კურთხევამ ბაგრატიონები ათი საუკუნის განმავლობაში ამეფა საქართველოში (ვიდრე თავად არ თქვა უარი მირონცხებასა და ტახტზე ასვლაზე დავით ბატონიშვილმა, გიორგი XII-ის ძემ). აშოტი და მისი ძენი რუსთველისეულ ეპითეტებს – „მაღალი, უხვი, მდაბალი“ – ნამდვილად იმსახურებენ: *„შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა... დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა... შეწირეს თითოეულად, რაიცა სახმარი მონასტერსა მისსა უხმდა, ყოველი* ***უხუებით“.*** აშოტის დიდებულებას გასაოცრად გადმოგვცემს ავტორი მაშინ, როდესაც მას გლოვობს წმინდა გრიგოლი – „ჰოი, მეფეო ჩემო, ძლიერო და **დიდებულო,** სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო! ...ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვირველი ეგე დიდებული ღმრთისმსახური ხელმწიფე“. მეფის **თავმდაბლობის** შეუდარებელი მაგალითია ფებრონიას მიერ პატარა ბავშვივით დამორჩილებული ვაჟკაცი, რომელიც სიკვდილს ნატრულობს წართმეული სიყვარულის გამო – *„ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“*.

ისტორიული წყაროების მიხედვით, აშოტ კურაპალატი შეძლებისდაგვარად ავიწროებდა არაბებს და აფართოებდა ქვეყნის საზღვრებს. მათი თარეშის ასალაგმავად, იგი პერიოდულად ესხმოდა მტერს თავს. ერთ-ერთი შეტაკების დროს ოროზ-მოროზის ძეებმა, აშოტ კურაპალატი მოიხელთეს და დოლისყანის ეკლესიაში შეფარებული, ხმლით განგმირეს ტაძრის საკურთხეველში (მისი სისხლის კვალი ბოლო დრომდე შეინიშნებოდა დოლისყანის ეკლესიაში). დოლისყანელებმა რა შეიტყვეს მათი საყვარელი მეფის მკვლელობა, დაედევნენ მტერს და მთლიანად გაწყვიტეს. აშოტ კურაპალატი დაკრძალეს არტანუჯის პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

აშოტის ძეთაგან მეფობა შუათანას – ბაგრატს ხვდა წილად.

რაც შეეხება აფხაზთა მეფეს, დემეტრე II-ს, ისტორიული ცნობების მიხედვით, იგი აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა როგორც ბიზანტიის, ასევე არაბთა ბატონობის წინააღმდეგ, საშინაო პოლიტიკაში კი, დემეტრეს სახელმწიფოებრივი აზროვნება კარგად ჩანს მის სურვილში – დასავლეთ საქართველოში განემტკიცებინა აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის გავლენა. სწორედ ამ მიზნით სთხოვს გრიგოლ ხარძთელს ეკლესიის აშენებას. მათ „მოვლნეს ქუეყანანი“, მაგრამ წმინდა გრიგოლმა ვერ პოვა სამონასტრო ადგილი იმდენად, რამდენადაც, *„ტალანტი მონაზონისაი მარხვაი არს, და ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაი სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა“*. დემეტრე ფრიად შეწუხდება და ეტყვის – *„არა სამართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობაი ამის ქუეყანისაი“*. ავტორი გადმოგვცემს: „მაშინ მამამან გრიგოლ **სარწმუნოებისაებრ მეფისა** აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი **უბეი“.** ამდენად, დემეტრეს სახე, ნაწარმოების მიხედვით, იკვეთება, როგორც კეთილმორწმუნე მეფისა.

გაბრიელ დაფანჩული, როგორც ავტორი, გადმოგვცემს, *„შემკულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა,* ***სიბრძნითა, ...კეთილად მორწმუნეობითა*** *ქებულ იყო“*. სწორედ ასეთი პიროვნება განსაზღვრავს იმ სიკეთეთ, რომლებიც სამღვდელოებასა თუ ერისკაცთ გააჩნიათ და რომლებიც უნდა მოახმარონ ქვეყანას – *„ჩვენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი და ესრეთ შევზავნეთ ურთიერთას“*.

თამარ კობერიძე
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
გრიგოლ რობაქიძის სტატია – „საქართველოს ხერხემალი“;
ივანე ჯავახიშვილი – საქართველოს ისტორია, ვიკიპედია

ილია — 180

საქართველოს უგვირგვინო მეფე

ყოველ ერს აქვს თავისი წმიდათაწმიდა საფიცარი და სალოცავი ადგილი – დიდ მამულიშვილთა ნააკვნარი, რომელთაც ელოლიავება, ესიყვარულება და მოკრძალებით ეთაყვანება.

ჩვენც გვაქვს სანუკვარი, კრძალვითა და პატივისცემით სახსენებელი – ტანძია, სხვიტორი, ჩარგალი, ვარიანი, ჭყვიში და სხვა სათაყვანებელი ადგილი, თუმცა ყვარელი მაინც გამორჩეულია, რადგან კახეთის ამ თვალწარმტაცმა ქალაქმა საქართველოს ილია ჭავჭავაძე აჩუქა.

იქნებ არც ერთ მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვისო, – ამბობს იაკობ გოგებაშვილი. მართლაც, თუ მე-18 საუკუნეში ბედი ქართლისა ერეკლე მეორის ხმლის ვადას ეყრდნობოდა, მე-19 საუკუნეში ქართლის ბედი ილია ჭავჭავაძის სიბრძნესა და ძალმოსილებას დაეყრდნო. ტიციან ტაბიძის თქმით, მე-19 საუკუნე ილია ჭავჭავაძემ კიდეც მოიგონა, კიდეც შეჰქმნა და თვისი სისხლით კიდეც დაჰკირა.

სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა კიტა აბაშიძე, რომ *„ქართველი ერის საიდუმლო ძალამ, საუკუნეების იდუმალმა სულიერმა შრომამ, რამდენსამე მოდგმის შემონახულმა სულის საუნჯემ ერთი დიდი კაცი შექმნა, რომელიც ერის სულის საუკეთესო გამომხატველი, იმის სულისკვეთების სალარო, გენიოსობის განხორციელება იყო“.*

მთელი ნახევარი საუკუნე იდგა ილია ხალხისა და ქვეყნის სადარაჯოზე. პირველი მისი პოეტური ამოკვნესა მამულით დაიწყო და მისი კალმის უკანასკნელი კვნესაც სამშობლოს საგალობლად ჟღერდა. *„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა“*, – წერდა ერის სიყვარულით გულანთებული პოეტი, რომელიც ღმერთთან იმიტომ ლაპარაკობდა, რომ წასძღოლოდა „წინა ერსა“.

ქართველი ერის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის მედროშემ, ილია ჭავჭავაძემ, თავისი სამოქმედო პროგრამა ასე გამოხატა: *„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.*

ამ მიზნის მისაღწევად ერთნაირი სიძლიერით იბრძოდა ილია, როგორც გამოჩენილი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ფოლკლორისტი, ეკონომისტი, სოციოლოგი, დიპლომატი, ფილოსოფოსი, მჭევრმეტყველი, ორატორი და საერთოდ ენციკლოპედისტი. სწორედ ამ უბადლო ნიჭითა და მრავალმხრივი თავდადებული მოღვაწეობით იდგა იგი თავის თანამედროვეებსა და თანამოღვაწეებზე მაღლა, ამიტომაც იქცა ილია ჭავჭავაძე ერის სულიერ მოძღვრად, ქართული სიტყვისა და აზრის მეუფედ, უგვირგვინო მეფედ.

სარბიელი ილიას მოღვაწეობისა მთელი საქართველო იყო, ხოლო სფერო მისი შემოქმედებისა – ქართველი ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. არ დარჩენილა არც ერთი დარგი, სადაც ილიას თავისი სიტყვა არ ეთქვას და ამ საქმიანობის მთელი სიმძიმე თავის თავზე არ აეღოს. ილია ჭავჭავაძემ პასუხი გასცა ყველა იმ კითხვას, რომელიც ცხოვრებამ წამოჭრა იმდროინდელ საქართველოში.

თუ შევეხებით ილიას ლიტერატურულ-საზოგადოებრივ, უფრო ზუსტად მის კულტურულ მემკვიდრეობას, შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნეს არ ჰყოლია ისეთი მხატვარი, მოაზროვნე და მოღვაწე, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო. არავის ისე მძაფრად არ განუცდია „ერის წყლული“, როგორც ილიას და არავის ისე არ დაუმჩნევია თავისი კვალი ერის სულიერი სამყაროსათვის, როგორც მას.

საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ქართული სალიტერატურო ენის მოამაგე და ნორმათა კანონმდებელიც გახლდათ. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა. იგი ეროვნების არსებით ნიშანს, მის გულს და სულს წარმოადგენს და ამ განძს თუ რიგიანად არ მოვუარეთ, არ ვუპატრონეთ რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას, – აღნიშნავდა დიდი ბრძენკაცი და მთელი შემართებით იბრძოდა ამ უპირველესი საუნჯის, ცხოვრების ბურჯის დაცვის, მისი შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის. დიდი ენათმეცნიერის, აკაკი შანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, *„ეს ბრძოლა სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა სახეს იღებს“*, ორიგინალურ ნაწერებში ის ქმნის უკვდავ სახეებს, წარმტაც სურათებს, ჭედს ქართულ სიტყვას, ნათარგმნ ტექსტებში იძლევა მისაბაძ ნიმუშს იმისა, თუ როგორ უნდა იქმნეს გადმოქართულებული რომელიმე ნაწარმოები, „ცისკრელებთან“ ბრძოლისას ერთი კალმის მოსმით აუქმებს ახალი სალიტერატურო ენისთვის ზედმეტ ასოებს, იანოვსკის წინააღმდეგ ბრძოლაში თავგამოდებით იცავს ქართული ენის უფლებას. უპრიანია, ხაზგასმით აღინიშნოს ილიას განუზომელი წვლილი ქართული ლექსიკის გამდიდრებაში. ავიღოთ თუნდაც საყოველთაოდ ცნობილი სიტყვა „მამული“, რომლის მნიშვნელობა მე-19 საუკუნისათვის დაჩრდილული, მივიწყებული იყო. ილიამ ამ სიტყვას ადრინდელი ძალა და ბრწყინვალება დაუბრუნა. დღეს ყოველ ნაბიჯზე ვხმარობთ სიტყვებს: „წოდება“, „დედააზრი“, „კაცობრიობა“, „მიწათმოქმედება“, „აგებულება“, „აღებ-მიცემობა“, „დაწესებულება“, „მთავრობა“, „მმართველობა“, „უფლება“, „ღირებულება“, „საქონელი“, „მიმოქცევა“, „ეროვნება“, „საერო“, „საზოგადოება“ და ბევრ სხვას. ასე გვგონია, თითქოს ეს სიტყვები უხსოვარი დროიდან იხმარება ქართულში, სინამდვილეში კი ისინი ილიასაგან მოდის, ილიას ენიდან იღებს სათავეს.

ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებასა და საზოგადო მოღვაწეობას გვირგვინად ადგას ჭეშმარიტი ჰუმანიზმი. ჰუმანისტმა ადამიანმა, ამბობს იგი, წესად უნდა აქციოს და ყოველდღე თავს ჰკითხოს *„აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?“*. ეს ჭეშმარიტი ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილება და იდეალი უნდა იყოს, სხვაგვარად მოქცევა მას არ უნდა შეეძლოს. *„სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა“*, – წერს ილია და მოითხოვს ბავშვებში პატარაობიდანვე კეთილი გრძნობების გამომუშავებას. *„თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვალემა მადლობით სთქვას – ნანერგითა შენით მარგე“*, – მოძღვრავს ილია ახალგაზრდობას.

ვის, ვის და ერის სულიერ მოძღვარს ესმოდა, რომ ერის მერმისი დიდად იყო დამოკიდებული განათლების დონის ამაღლებასა და ცოდნით ხალხის შეიარაღებაზე. მისი ბრძნული შეხედულებებით ცოდნა მარტო სამკაული კი არ არის, ადამიანს რომ ამშვენებს, არამედ უპირველეს ყოვლისა ძალაა, ღონეა, ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც *„შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას, კვალში ჩაუდგეს ხალხს, მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს“.*

თანადროული და გაუხუნარია ილიას მიერ გამოთქმული მოსაზრებები მასწავლებლის როლისა და დანიშნულების შესახებ. *„მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია“*, ამბობდა იგი აღმზრდელ-პედაგოგების შესახებ. მისი თქმით, მასწავლებელმა არა მარტო უნდა შეასმინოს, არამედ უნდა ესმოდეს მისი, მეგობრულად მიუდგეს, არ დაახშოს მასში შემოქმედებითი ნაპერწკალი, განუვითაროს ინიციატივა.

და ისევ მასწავლებლისადმი მიმართული სიტყვები: *„ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა ...ძნელ წასაკითხი ქარაგმით დაწერილია“*, ამიტომ ამ „საიდუმლოთა საიდუმლოს“ ამოხსნა ყველას არ ძალუძს. ამისათვის საჭიროა ფართო პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური განათლება, რაც მთავარია, ბავშვის ღრმა და გულწრფელი სიყვარული. *„თუ წვრთნა გინდა ბავშვისა,* – წერს ილია, – *იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ“.* სწორედ ეს ბრძნული შეგონება წარმოადგენს ხსნის გზას იმ ძალადობისაგან, რაც ჩვენს სკოლასა და საზოგადოებაში შეინიშნება.

განუზომელია ილიას ღვაწლი და ამაგი აჭარისადმი. მარტო ის რად ღირს, რომ, მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით, 1881 წელს, ბათუმში გაიხსნა პირველი ეროვნული სკოლა. დიდი მამულიშვილის მიერ საუკუნის წინათ ანთებული ცოდნის ლამპარი ჩაუქრობელ ჩირაღდნად იქცა, მაღალი ეროვნული თვითშეგნებისა და სულიერი აღორძინების უშრეტი წყარო გახდა. მისი ინიციატივითა და ძალისხმევით, ბათუმში შეიქმნა მოწინავე ინტელიგენციის ძლიერი ბირთვი. ქალაქის თვითმმართველობას, უცხოელ მოხელეთა ნაცვლად, სათავეში ქართველი მოღვაწენი ჩაუდგნენ. დაიწყო ქალაქის გამშვენიერებისა და აქაურ მკვიდრთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა. აიგო არქიტექტურული ღირსებით გამორჩეული არაერთი შენობა (გიმნაზია, კათოლიკური ეკლესია, ფოსტა, თვითმმართველობა, ბანკი...), რომლებიც დღესაც ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მნახველს.

„მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა“, – წინასწარმეტყველური აღმოჩნდა დიდი ერისკაცის ეს სიტყვები. თავისი მდიდარი, მგზნებარე მემკვიდრეობით, ბრძნული ნაფიქრ-ნაზრევითა და შეგონებებით ჩვენ გვერდით მოაბიჯებს და კვლავ გვარიგებს, გვაფრთხილებს, გვირჩევს, გვმოძღვრავს, ჩვენს ინტერესებს იცავს, გვანუგეშებს, სააზროვნოდ განგვაწყობს და მამულის სიყვარულით გვმუხტავს.

აკაკი ზოიძე
საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი

სასკოლო აქტივობა

ცოდნის მილება ლაშქრობაშიც შეიძლება

წელს, ჩვენს სკოლაში გეოგრაფიის ახალი მასწავლებელი, **გიორგი ხელაშვილი** მოვიდა. კარგად მახსოვს პირველი გაკვეთილი – გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, მნიშვნელობაზე გვესაუბრა და გვითხრა, რომ მისი ცოდნა ყველას ჰაერივით გვჭირდებაო. შემდეგ ახალი გაკვეთილი აგვიხსნა და ზარის დარეკვამდე 5 წუთით ადრე, შემოგვთავაზა, შაბათს ან კვირას, თუ სურვილი გექნებათ, ბუნებაში გავიდეთ და მამკოდის მამათა მონასტერიც მოვილოცოთო. ბუნებრივია, გაგვეხარდა, თუმცა, ზოგიერთი ჩვენგანი ფეხით სიარულმა თითქოს დააფრთხო, ბევრს მამკოდის მონასტრის შესახებ გაუჩნდა კითხვები, რაზეც გიორგი მასწავლებელმა ამომწურავად გვიპასუხა.

კვირას, 10 საათისთვის, ლაშქრობაში მონაწილეობის მსურველები სკოლასთან შევიკრიბეთ. ჩვენი კლასელის მამამ იქამდე მიგვიყვანა, სანამდეც სამანქანე გზა იყო. შემდეგ ფეხით გავაგრძელეთ. დაღლილობა არ გვიგრძვნია, მხიარულად მივუყვებოდით ბილიკებს. როგორც იქნა, დანიშნულ ადგილამდე მივედით და ჩვენ თვალწინ გადაიშალა საოცარი პეიზაჟი – ცადაზიდული მთები და გვიანი შემოდგომის ფერადოვანი ტყეები... ყველანი განსაკუთრებული შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავით, კარგა ხანს ხმას არ ვიღებდით. გიორგი მასწავლებელმა დაგვაბრუნა რეალობაში – გაგვახსენა ადრე ნასწავლი მასალა: აზიმუტი, ჰორიზონტის მხარეები და მათი გამოცნობა ხეთა გადანაჭრების და ტოტების განლაგების მიხედვით, მცენარეთა მრავალსახეობა, მათი ჯიშები და თავისებურება, სიმაღლებრივი სარტყლურობა და ა.შ. მრავალფეროვან ბუნებაში აღმოჩენილებმა, ვერც ერთი მცენარე ვერ ამოვიცანით, ვერც იმას წარმოვიდგენდით, თუ თბილისთან ასე ახლოს მსგავსი სილამაზე და ღირსშესანიშნაობა იქნებოდა...

მამათა მონასტრამდე გზა უფრო რთული და დამქანცველი აღმოჩნდა, ციცაბო ასასვლელებზე ერთმანეთს ვეხმარებოდით, დაახლოებით, 40 წუთში კვლავ საოცარი სანახაობის მომსწრენი გავხდით – გაგვაოცა მამათა მონასტერმა თავისი ადგილ-მდებარეობითა და ბუნებრივი სილამაზით. ამჟამად მონასტერში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ ამას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, რომ ტაძარში სანთლები დაგვენთო და გველოცა, სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ, ბუნების წიაღში კოცონი დავანთეთ, მწვადი შევწვით, ჩვენი დამრიგებელი, მუსიკის მასწავლებელი ნანა ზარქუა ჩონგურზე გვიწევდა აკომპანემენტს, ჩვენ კი ვმღეროდით... ძალიან არ გვეთმობოდა, მაგრამ, შებინდების პირზე, ნაცნობი ბილიკებით, უკან დავბრუნდით.

თითოეული ჩვენგანისათვის მნიშვნელოვანი გამოდგა ეს ლაშქრობა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვისიამოვნეთ ბუნების სანახაობით, მოვილოცეთ მამკოდის მონასტერი; მეორეც ის, რომ სხვა კუთხით დავინახეთ ერთმანეთი კლასელებმა და ჩვენი პედაგოგებიც უკეთ გავიცანით. ახლა იმაზე ვფიქრობთ, კიდევ რომელი კუთხის სილამაზეს გვაზიარებს ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი, რომ ექსკურსიითაც ვისიამოვნოთ, ერთად ყოფნითაც და, რაც მთავარია, გეოგრაფიაც უკეთ შევისწავლოთ.

თამარ მაისურაძე
თბილისის 115-ე საჯარო სკოლის მოსწავლე

სასკოლო აქტივობა

წმინდანთა ღვაწლის წარმოსაჩენად

13 დეკემბერი ანდრია პირველწოდებულისა და ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეა. დაბა ადიგენის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **გიორგი ქომეთიანი**) საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ (ხელმძღვანელი – **ეთერ ბუცხრიკიძე**) მოაწყო ღონისძიება, რომელშიც V, IX, XI კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ და რომლის მიზანი იყო მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება, მათი პიროვნული განვითარება.

ღონისძიებაში მონაწილე IX კლასის მოსწავლეებმა: **გვანცა კუბლაშვილმა** და **ლიკა ბოჭორიშვილმა** ანდრია პირველწოდებულისა და ვახტანგ გორგასლის პორტრეტები დახატეს, ხოლო: **ვანო მაისურაძემ, ნიკა თათოშვილმა, შოთა ჩირგაძემ, თათია აფრიამაშვილმა, მაგდა პარუნაშვილმა, თამთა გიგოლაშვილმა, გიორგი მაჭარაშვილმა, ხატია ძაძამიამ** და **ელბერდ ტყემალაძემ** წარმოადგინეს თემები ანდრია პირველწოდებულის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის შესახებ ხვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით ხელში და გვიამბეს, როგორ იცავდა ვახტანგ გორგასალი ქრისტიანობას V საუკუნის II ნახევარში, როგორ ებრძოდა ირანელებს, რომლებიც ადგილობრივ დიდაზნაურებს უპირისპირებდნენ ქართლის მეფის ხელისუფლებას და ავრცელებდნენ მაზდეანობას, რომლის მაგალითიც ქვემო ქართლის პიტიახში ვარსქენი იყო.

ვახტანგ მეფემ არა მარტო დაიცვა საქართველო ირანისა და მაზდეანობისგან, არამედ ქართული ეკლესიის რეორგანიზაციაც შეძლო. ქართლიდან განდევნა არასასურველი ეპისკოპოსი მიქაელი და ბიზანტიიდან ქართლის კათალიკოსად ჩამოიყვანა პეტრე. სწორედ ვახტანგ მეფის დროიდან დაწესდა კათალიკოსობა და ქართული ეკლესია გახდა ავტოკეფალური.

მოსწავლეებმა სრულად წარმოადგინეს ვახტანგ გორგასლისა და ანდრია პირველწოდებულის ღვაწლი და დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე, რისთვისაც მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ორივენი წმინდანად შერაცხა და მათი ხსენების დღედ 13 დეკემბერი დააწესა.

ღონისძიების დასასრულს, აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, მოეწყო ვიქტორინა-კონკურსი და გამოვლინდა გამარჯვებული. XI კლასის მოსწავლეებმა: **ნინო ივანიძემ** და **თამარ მაისურაძემ** ფანდურზე შეასრულეს რამდენიმე მუსიკალური ნომერი; **საბა ჯელიამ** და **თორნიკე ქაშიბაძემ** წაიკითხეს ქართული პოეტების ლექსები სამშობლოზე, ხოლო V-კლასელებმა – საკუთარი ლექსები.

ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცა სკოლის დირექტორმა **გიორგი ქომეთიანმა**.

ეთერ ბუცხრიკიძე
დაბა ადიგენის საჯარო სკოლა

სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენილი საქართველო

რაოდენ უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, ჯერ კიდევ გამოცდის ჩაბარების შემდეგ, პროექტში მოხვედრამდე, მომავალ სკოლაში ვგეგმავდი ღონისძიებებს ისე, რომ არ ვიცოდი, გამიმართლებდა თუ არა.

ხოჯორნის სკოლაში მოსვლის დღიდან მინდოდა ამ ღონისძიების ჩატარება, მაგრამ სსემა-ს კონკურსმა დაასწრო და იმაზე გადავერთე. ნოემბრის ბოლოს გამოვაცხადე კონკურსი „გაიცანი საქართველო“, რომელიც მიზნად ისახავდა, არაქართველი ბავშვები გაცნობოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს და გაეკეთებინათ პრეზენტაციები მათთვის ხელსაყრელ ფორმატში (სლაიდშოუ, ნახატები და ა.შ). კონკურსს უნდა გამოევლინა მოსწავლეთა კრეატიული და ჯგუფური მუშაობის უნარი. გამოცხადების დღიდან თვალს ვადევნებდი პედაგოგებს, რომლებიც ენთუზიაზმით ჩაებნენ საქმეში. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვამბობ, რომ მსიამოვნებდა მათი დამოკიდებულება, ჩართულობა, პასუხისმგებლობა. კითხვების შემთხვევაში, „მაწუხებდნენ“ როგორც მასწავლებლები, ისე ბავშვები. შევიმუშავე შეფასების რუბრიკა, სიგელების დიზაინი და სკოლის პრინტერზე ამოვბეჭდე.

14 დეკემბერი უჩვეულოდ გაგვითენდა. ვამჩნევდი, როგორ ღელავდნენ ბავშვები, მასწავლებლები, ისინიც კი, ვინც არ მონაწილეობდნენ. ვღელავდი მეც, რადგან ეს ჩემი პირველი ღონისძიება იყო ახალ გარემოში. მეზობელი სოფლის – ოფრეთის საჯარო სკოლიდან კონსულტანტ-მასწავლებელი **თინათინ ბაწაშვილი** მოვიწვიე ჟიურის წევრად, რომელიც ამავე სკოლის დირექტორთან, **არკადი მანუჩარიანთან** ერთად გვესტუმრა. სტუმრები ახკერპის სკოლიდანაც გვყავდნენ.

ღონისძიება სსემა-ს კონკურსში გამარჯვებულმა მეთერთმეტეკლასელებმა გახსნეს საკონკურსო ნამუშევრის პრეზენტაციით და აუდიტორიას დაჯილდოებაზე მიღებული შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

იმ დღეს ხოჯორნის სკოლაში საქართველოს ჰიმნი რამდენჯერმე გაისმა. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა საქართველო სხვადასხვა რაკურსით წარმოადგინეს. ყველაზე ინერტულმა მეთორმეტეკლასელებმაც კი, შეუძლებელი შეძლეს და სამ დღეში მოამზადეს პროგრამა; მერვეკლასელებს საქართველოს სხვადასხვა კუთხის საახალწლო ტრადიციები ჰქონდათ წარმოდგენილი და არ გამორჩათ სვანური „გვიზ“, რომელიც კოხტად შეკრეს და ჩემ საპატივცემულოდ გამოიტანეს; მეშვიდეკლასელებმა სამზარეულო წარმოადგინეს, მეცხრე-მეათეკლასელებმა, ქართული ატრიბუტების თანხლებით – მთლიანი საქართველო.

სომხურ სექტორს არც აზერბაიჯანელები ჩამორჩნენ. ბავშვებმა საქართველოს ჰიმნი შეასრულეს...

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: სკოლის დირექტორი **რიმა გარიბიანი**, დაწყებითი კლასის მასწავლებელი **არმინე ხაჩატურიანი**, ოფრეთის სკოლის დირექტორი **არკადი მანუჩარიანი** და ამავე სკოლის კონსულტანტ-მასწავლებელი **თინათინ ბაწაშვილი**, გამარჯვებული კლასები გამოავლინა: პირველი ადგილი ორმა კლასმა გაინაწილა – სომხური და აზერბაიჯანული სექტორების IX კლასებმა, მეორე ადგილზე VIII კლასები გავიდნენ, ხოლო მესამე ადგილზე – სომხური სექტორის VII კლასი. გამარჯვებულებს და ყველა მონაწილეს გადაეცათ სიგელები. სიგელები გადაეცათ ხელმძღვანელ მასწავლებლებსაც: **მანუკ მანუკიანს, ნარინე ასატრიანს, ანაიტ ვერმიშიანს, ლუსინე ასატრიანს, ანარ შარიფოვს.**

სკოლის დირექტორმა, **რიმა გარიბიანმა** აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიება პირველია სკოლაში, მადლობა გადაგვიხადა როგორც მონაწილეებს და ორგანიზატორებს, ასევე ჟიურის წევრებს და იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ სკოლაში კვლავ დაიგეგმება საინტერესო ღონისძიებები როგორც ქართულ, ისე სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე.

ბედნიერი ვარ, რომ სულ რამდენიმე თვეში კოლექტივმა ასე ერთსულოვნად გამოხატა ჩემდამი დამოკიდებულება. დეკემბრის სუსხის მიუხედავად, არ მიგრძვნია სიცივე, რადგან ამ დღეს სომეხი კოლეგების გულებიდან წამოსული სითბო მათბობდა!

ლალი მარგიანი
ხოჯორნის საჯარო სკოლის
კონსულტანტ-მასწავლებელი

სპორტი

ბოულინგ ტურნირის გამარჯვებულები

თბილისის №219 საჯარო სკოლის თვითმმართველობის წევრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ „Ist-point“-ში ლებოვსკის ბოულინგ კლუბის სასკოლო ტურნირში მიეღოთ მონაწილეობა. თვითმმართველობის წევრებმა მე-8 და მე-9 კლასებს შორის, სკოლის სტადიონზე, ჩაატარეს შესარჩევი ტური. ზემოთ აღნიშნულ კლასებს შორის შეჯიბრებაში გაიმარჯვეს მე-8 კლასის მოსწავლეებმა.

ლებოვსკის ბოულინგ კლუბის სასკოლო ტურნირში გამართულ შეჯიბრებაზე სპორტის მასწავლებელმა, ბატონმა **ირაკლი არაბულმა**, სათამაშოდ წაიყვანა სკოლაში გამარჯვებული გუნდი. სასკოლო ტურნირის შეჯიბრებაში, ქალაქ თბილისის მასშტაბით, მონაწილეობდნენ სკოლებში გამარჯვებული გუნდები. ფინალამდე ეტაპობრივად ტარდებოდა ტურები. საბოლოოდ, ფინალში მოხვდა ჩვენი სკოლის გუნდი. გაიმარჯვეს მე-8 კლასის მოსწავლეებმა: **ანი წამალაიძემ**, **ქეთი შიუკაშვილმა**, **აკაკი ლობჟანიძემ**, **ლუკა ჭინჭარაულმა** და **გიორგი კიპაროიძემ**. მათ 408 ქულით დაიკავეს პირველი ადგილი. გამარჯვებულებს ადგილზე გადასცეს პრიზი და ფასიანი საჩუქრები. სპორტის მასწავლებელმა გულითა და სულით გაიზიარა მოსწავლეების სიხარული და წარმატება.

219-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, ბატონმა **შალვა ხუციშვილმა**, დილის ხაზზე მიულოცა გამარჯვებულ გუნდს წარმატება და თითოეულ მონაწილეს მადლობა გადაუხადა ასეთ მასშტაბურ ღონისძიებაში მონაწილეობისა და აქტიურობისათვის.

სსიპ ქალაქ თბილისის №219 საჯარო სკოლის დირექცია

ოლიმპიელები ახალი ფორმატით

ჩვენ უკვე ვწერდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი პროექტის შესახებ, რომელიც საჯარო თუ კერძო სკოლებში სპორტის გაკვეთილების რეფორმას ისახავს მიზნად და, პრაქტიკულ ნაწილთან ერთად, თეორიულ-შემეცნებითსაც და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციასაც ითვალისწინებს. თეორიულ-შემეცნებითი ნაწილი ოლიმპიზმის თემატიკასაც მოიცავს და, ბოლო დღეებში, სწორედ ამ კუთხით გააქტიურდა მუშაობა: ოლიმპიურ ჩემპიონებთან ერთად დადიან დედაქალაქის საჯარო სკოლებში და, მათთან ერთად, ეწევიან ოლიმპიზმის პროპაგანდას. ოღონდ მიდგომა რამდენადმე განსხვავებულია. ოლიმპიურ ჩემპიონთა თუ წარმატებულ სპორტსმენთა ბავშვებთან მიყვანა არახალია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, თავად მოსწავლეები ამზადებენ ოლიმპიზმთან დაკავშირებულ პროექტებს და სტუმრების თანხლებით მიმდინარეობს მათი განხილვა. მოგვიანებით, საუკეთესო პროექტები უკვე საქართველოს მასშტაბით გავა საკონკურსოდ. ანალოგიური მიზნით, დედაქალაქის 207-ე საჯარო სკოლაში, უკვე იმყოფებოდა ფეხბურთში ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, ყოფილი საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში სეულის თამაშების გამარჯვებული **გელა კეტაშვილი**, ხოლო მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი მშვილდოსნობაში **ქეთევან ლოსაბერიძე** თბილისის 43-ე საჯარო სკოლას ეწვია (სხვათა შორის, ქალთა მშვილდოსნობაში ის ერთადერთი გამარჯვებულია არა თუ საქართველოდან, არამედ ევროპიდან). მომავალ კვირაში, 114-ე სკოლას ძალოსნობაში მოქმედი და ახლო წარსულის ოლიმპიური ტრიუმფატორები, რიო დე ჟანეიროს შარშანდელი თამაშების ჩემპიონი **ლაშა ტალახაძე** და საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ათენის ოლიმპიადის გამარჯვებული **გიორგი ასანიძე** ეწვევიან. საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი, სამივე სინჯის ოლიმპიური მედლის მფლობელი და 8 ოლიმპიადის (!) მონაწილე (ბოლო ორი პარამეტრით ის საქართველოში საუკეთესოა), მსოფლიოს 19-გზის რეკორდსმენი ტყვიის სროლაში **ნინო სალუქვაძე** კი 103-ე სკოლას ესტუმრება.

ფიცარნაგი ჭაბუკებმა მოსინჯეს

10 დეკემბერს ქუთაისის ძალოსნობის დარბაზმა ქალაქის ღია პირველობას უმასპინძლა ჭაბუკთა შორის, რომელშიც, მასპინძლებთან ერთად, ხონისა და წყალტუბოს გუნდებმაც იასპარეზეს. ღონისძიების მთავარი მიზანი კადრების შერჩევა იყო ქუთაისის ჭაბუკ ძალოსანთა ნაკრებისთვის, რომელმაც საქართველოს თასზე უნდა იასპარეზოს, თუმცა, ცხადია, უმნიშვნელო არც სატურნირო პრაქტიკა იყო, რომელსაც ჭაბუკები შეჯიბრებაზე მიიღებდნენ.

ქუთაისის ფიცარნაგზე 40 სპორტსმენი გავიდა, რომელთა შორის 2 გოგონაც იყო, ორივე სტუმარი. ქუთაისი ძალოსნობაში ერთ-ერთი ტრადიციული ცენტრია და, თუ ისტორიას გადავხედავთ, ძირითადად, მისი სკოლის დამსახურებაა დიტო შანიძის მსოფლიოს ჩემპიონობა და ორი ოლიმპიური ვერცხლი, თუმცა რიონისპირა ქალაქი დიდად არც აწმყოს უჩივის: ქუთაისელია შოთა მიშველაძე, რომელიც, ათიოდე დღეც არაა, რაც მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი გახდა უფროსებში. აი, წყალტუბო და განსაკუთრებით კი ხონი ახალი წერტილებია ქართული ძალოსნობისთვის, მაგრამ პატარებში უკვე მათაც ხელშესახებ წარმატებებს მიაღწიეს. ხონელებმა ერთი ოქრო მოიპოვეს, თუმცა იმ წონაში – უმჩატეს 30 კილოგრამში ვერცხლიც მათ მოიპოვეს. ჩემპიონი **ბესიკ რურუა** გახდა, მეორეზე კი **ლუკა ასათიანი** გავიდა.

წყალტუბოელები უფრო ხელხვავრიელად დაბრუნდნენ მშობლიურ ქალაქში: 7 მედალი, აქედან 3 – ოქრო. თუმცა, ამ ოქროებიდან ერთი გოგონების მონაგარია. რაკი ისინი ბევრნი არ იყვნენ, ორგანიზატორებმა ერთ წონაში დაუშვეს, საბოლოოდ წყალტუბოელმა **მარიამ მაისურაძემ** აჯობა ხონელ **მარიამ მურღვლიანს**. წყალტუბოელი ბიჭებიდან ჩემპიონები **ჯაბა ტყეშელაშვილი** (42) და **თორნიკე მაისურაძე** (46) გახდნენ, ქუთაისელთაგან – **საბა ენდელაძე** (34), **ლუკა ჩუბინიძე** (38), **ვასილ ადეიშვილი** (50), **თორნიკე ლომთაძე** (56), **გია ახალაძე** (62), **ნოდარ კაპანაძე** (69), **გიორგი დვალიშვილი** (77), **ლუკა დევიძე** (85) და **ჯემალ კოპალიანი** (+85).

ჩემპიონ-პრიზიორები ქუთაისის ააიპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებამ დიპლომებითა და მედლებით დააჯილდოა.

აკადემია აკადემიურად

კალათბურთის „აკადემიამ“ ევროსარბიელზე წარმატებით იასპარეზა, რომელიც, ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველად, ყველაზე მცირეწლოვნებით – 13-წლამდელებით ჩაერთო ბალტიის კალათბურთის (BBBL) ლიგაში.

ეს, ფაქტობრივად, ახალგაზრდული ლიგაა, რომელშიც ევროპის უძლიერესი საკლათბურთო ქვეყნების წარმომადგენლები გამოდიან. მიმდინარე სეზონში 8 ქვეყნის 122-მა გუნდმა მოიყარა თავი, ისეთი ძლიერი საკალათბურთო ქვეყნებიდან, როგორიცაა ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა, რუსეთი, ფინეთი, შვედეთი და ბელარუსი. შეჯიბრი 6 ასაკობრივ კატეგორიაში ტარდება, 13-წლიანების 25 გუნდი ორ ჯგუფადაა გაყოფილი. ისინი, ჯგუფში, თითო შეხვედრას მართავენ ერთმანეთში, 16 საუკეთესო კი პლეი ოფში გადის.

გათამაშება ოქტომბერში დაიწყო და უკვე ვწერდით, რომ გელა წულაძის შეგირდებმა, რიგაში, 6 თამაშიდან ორი მოიგეს. მაშინ ეს, ძირითადად, დამღლელი მგზავრობით აიხსნა, მას შემდეგ კი ფსიქოლოგიურადაც კარგი გამოცდილება მიიღეს, დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზეც ბევრი იზრუნეს და შედეგად, 8-10 დეკემბერს, მეორე ტურში ჩინებულად იასპარეზეს: ოთხიდან ოთხივე პაექრობა მოიგეს.

ჩვენებმა პირველ შეხვედრაში გათამაშების ფავორიტად მიჩნეული მოსკოვის ცსკ-ს საკალათბურთო სკოლის გუნდი Jumpball დაამარცხეს, რომელმაც პირველი წრე ასევე უდანაკარგოდ, ოთხიდან ამდენივე მოგებით დაასრულა. თუმცა ქართველები მათ სახელსა და სტატისტიკას არ შეუშინდნენ და მრისხანე მეტოქეს მძიმე მარცხი აგემეს – 38:25. ისინი არც მომდევნო მეტოქეებს შეუშინდნენ და ფინური „ჰონკა“ (50:46), ლატვიის „მარუპე“ (41:36) და ტალინის TTU (50:33) ერთმანეთს მიაყოლეს.

ქართველი ბავშვების ასეთი მეტამორფოზა თვალნათელი მაგალითია, რაოდენ მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილება.

ჭაბუკების მედლები ხორვატიიდან

ხორვატულ პორეჩში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის, სადაც ჩვენი გუნდი, ძირითადად თვითდაფინანსებით, წავიდა – სპორტსმენები მუნიციპალიტეტებმა გაამგზავრეს. საბედნიეროდ, მათ გარჯა დაუფასდათ და გუნდი სამშობლოში 7 მედლით და გუნდური მესამე ადგილით დაბრუნდა. პირად პირველობაში ჩვენებმა 1 ოქრო და 3-3 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს. ევროპის ჩემპიონი **გიორგი ნასყიდაშვილი** გახდა 60 კილოგრამში, ფინალში უკრაინელი **დანილ ველიევი** დაამარცხა. ჩემპიონობამდე თითო მოგება დააკლდათ **ნოდარ კოკაშვილს** (55), **გიორგი სარდალაშვილს** (46) და **ნიკა ხარაზიშვილს** (84) – ისინი ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. გადამწყვეტ შეხვედრაში სამივე რუსთან დამარცხდა, შესაბამისად – **ილია ილინთან**, **ალი დაგოევთან** და **მატვეი კანიკოვსკისთან.**

ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ: **ელიზბარ თურქია** (50), **გიორგი შერაზადაშვილი** (72), **გიორგი ჩაგელიშვილი** (78).

მოამზადა ირაკლი თავაძემ

სამაგიდე თამაშების მრავალფეროვანი პაკეტები I–VI კლასებისათვის

წესებიანი, სამაგიდე თამაშების მთავარი ამოცანაა: შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი, ხელი შეუწყოს მოსწავლეების სოციალური და საარზოვნო უნარების განვითარებას. ამ თამაშების დროს თამაშში ჩართულ მოსწავლეებს უწევთ: ანალიზი, მსჯელობა, კატეგორიზაცია/დახარისხება, დაგეგმვა/ორგანიზება, გადაწყვეტა, შედარება, შეფასება/კრიტიკა, რეფლექსია, შექმნა, გამოგონება, აღმოჩენა, თანამშრომლობა, წარმოდგენა/ვარაუდი, წინასწარი შეფასება/წინასწარმეტყველება, წარდგენა/პრეზენტაცია, გამოყენება, გაკეთება, პრაქტიკაში გადმოტანა, განხორციელება. თამაშები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების და გამჭოლი კომპეტენციების შესაბამისად არის შექმნილი.

რომელი საათია – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მხიარული ფრაგმენტების ლოგიკა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
ჩრდილები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მოხატული ცხოველების ამბები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
სხვადასხვა სიტუაციები – 8 ლარი
(ჯგუფური თამაში);
შეგრძნებები – 8 ლარი;
მხიარული სინსარტყელა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
მხიარული წილადები – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
დავეხმაროთ რიცხვებს – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
ვითვლი: 10-მდე, 20-მდე, 100-მდე – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში);
გავუმასპინძლდეთ სტუმრებს – 23 ლარი
(ჯგუფური თამაში, გათვლილია მთელ კლასზე);
ფერადი მოზაიკა – 8 ლარი
(თამაშობენ ინდივიდუალურად ან წყვილებში).

სასწავლო პროექტები
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და განერილია რეკომენდაციები, რომელ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

ქართული I-VI კლასები
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

პროფესიული უნარები
დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის



მასწავლებლის სამუშაო რვეული



4 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40 ₾

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ₾

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ₾



12 ლარი

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი



10 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

ქართული ენის გრამატიკა
მორფოლოგია
(სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე

ტირაჟი დროებით ამოწურულია

10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)

4 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



10 ლარი

ბიოლოგია (II ნაწილი)
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი



9 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ნ. ახმეტელი, ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია

განახლებული გამოცემა

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >